№ 2. ერობა მაისი წ.

ერობა

ორკვირეული საერობო ჟურნალი

ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო



ტფილისი.
სამხედრო სამინისტროს სტამბა.
1920

შინაარსი:

		გვერდი.
1)	. . . . . მოწინავე.	2.
2)	**არ. ჯაჯანაშვილი**—ადგილობრივი მმართველობა.	3.
3)	**ვლ. ტკაჩევი-ახობაძე**—თემი ამერიკაში.	8.
4)	**გ. ბენაშვილი**—მოსავალი ტფილისის მაზრაში.	11.
5.	**პროფ. ს. ავალიანი**—სახელმწიფო, ერობა და გადასახადები.	16.
6)	**გ. მამამთავრიშვილი**—საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა.	20.
7)	**ი. ქურდიანი**, —აგრონომიული დახმარების მოწყობა ტფილისის მაზრაში.	28.
8)	**ი. კილოსანია**—გარეუბნის თემი (კორესპონდენცია).	31.
9)	**ვლ.**—გადასახადების ახალი დაწესებულებანი.	35.
10)	. . . . . ქრონიკა	36.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს მოწოდება.

(საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის შტაბებს და აფხაზეთის კომისარიატს).

ჩრდილოეთის საფრთხე საქართველოს ჭიშკარს მოადგა.

ბაქოში უბრძოლველად შევიდა ბოლშევიკების ჯარი და იქ საბჭოთა მმართველობა გამოაცხადა.

ადერბეიჯანმა კარი გაუღო მათ, რაც მოწმობს მოსკოვის და ერზერუმის წინასწარ შეთანხმებას. საქართველო, საქართველოს დემოკრატია და მისი ამდენი ხნის შემოქმედებითი მუშაობა განსაცდელშია.

ჩვენს ქვეყანას მოელის ისეთივე განადგურება და სისხლისაგან დაცლა, როგორც განადგურებულია და დაუსრულებელ ომებით სისხლიდან იცლება რუსეთი. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. ჩვენს მდგომარეობას ვიხსნით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ერთსულოვნება და მომხდურთა წინაშე მედგრათ დარაზმვა.

მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ქვეყანა ამ უბედურებისაგან, ააცდინოს მშრომელ ხალხს ეს მწარე ფიალა, იხსნას ის დარბევისაგან და მოგიწოდებს თქვენ და თქვენთან ერთად მთელ დემოკრატიას ფეხზე დააყენოთ მთელი თქვენი ძალა, შემოკრბეთ მთავრობის და დამფუძნებელი კრების გარშემო, დაუყოვნებლივ შეასრულოთ მთავრობის ბრძანებები, დაიცვათ შიგნით სასტიკი წესრიგი, შთაბეროთ ერთგულთ მხნეობა და ენერგია, სამაგიეროდ მიუძღვნათ ორგულთ და მოღალატეთ და მით გადაარჩინოთ სამშობლო აოხრებისაგან.

მთავრობამ უკვე გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა თავდაცვის საბჭო, აირჩია სარდალი, გამოაცხადა აღმოსავლეთ საქართველოში სამხედრო წესები მიიღო წინასწარი ზომები.

დეე, თვითეული მოქალაქე, თვითეული თანამდებობის პირი იდგეს თავის პოსტზე და პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

1920 წ. [illegible] აპრილს.

5661

Библиотека-Музей

მაისი 1920 წელი.

თუ როდისმე იყო საჭირო გამჭრიახობა, ძალთა მოკრება, ხალხის გაფხიზლება და ფეხზე დაყენება—ეს განსაკუთრებით საჭიროა არის დღეს.

ჩრდილოეთის საფრთხე თითქმის მოადგა საქართველოს საზღვარს. მოსკოვის ბოლშევიკებმა კავშირი შეჰკრეს თურქებთან და ადერბეიჯანს მოევლენ—უბრძოლველად, სრულიად უბრძოლველად შევიდა ბოლშევიკთა ჯარი ბაქოში, და ესეც იმის მაჩვენებელია, რომ თურქებსა და ბოლშევიკებს შორის წინასწარი მოლაპარაკება და კავშირი არსებობდა. მრსკოვის ბოლშევიკთა ზრახვაა—პირისპირ ჩაუდგნენ მოკავშირეებს ოსმალეთში, ააჯანყონ ოსმალეთი მოკავშირეთა წინააღმდეგ.

სახელმწიფოებრივს წყობილებას, რომელიც ჩვენში დიდი ხნის მუყაითობით დამყარდა და შვება მისცა ომიანობით დასუსტებულს მოსახლეობას, განსაცდელი მოელის. მოსკოვის ბოლშევიკებს თან მოაქვთ სისხლი, აოხრება, განადგურება. ჩვენი ხალხის შემოქმედება განსაცდელშია.

და თუ როდისმე იყო საჭირო. სიფრთხილე და ძალთა ამოძრავება, —ეს სწორედ დღეს არის საჭირო. ამას ჩვენი ქვეყნის ბედი მოითხოვს. ამას ჩვენი მომავალი მოითხოვს.

სასოწარკვეთილებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ყველა ერთი აზრით უნდა განიმსჭვალოს—„სამშობლოს დაცვა უნდა“—და ამ აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს თავის მუშაობაში.

ჩვენს ხალხს თავისი დამოუკიდებლობის დღიდან ბევრი მტერი ჰყავს. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რა რიგ უმასპინძლდებოდა ჩვენი ხალხი თავის მტრებს. ერთსულოვნება—აი, რა უნდა ჰსუფევდეს დღესაც, როდესაც ჩრდილოეთის საფრთხე მოადგა ჩვენს საზღვრებს.

სასოწარკვეთილებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენში—ჩვენ გვყავს ჯარი, სახალხო გვარდია, რომელნიც უკვე საკმაოდ ნაცადნი არიან მტრებთან ბრძოლაში. მთელ სახელმწიფოს ჰყავს თავდაცვის საბჭო, ჰყავს მთავარსარდალი. მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ჩვენი მშვიდობიანი კერა გადალახული არ იქმნეს უცხოელთა ბრბოებისაგან.

მაგრამ ეს არ კმარა. ყოველი ჩვენგანი ერთი აზრით უნდა იყოს გამსჭვალული—რომ ამოძრავებულ ძალას ზურგი გაუმაგრონ ყოველის, გზით ყოველის საშუალებით. ზურგი ჯარის არა ნაკლებ საყურადღებოა და ის, ვინც ამ დღეებში სახლში რჩება, უნდა სცდილობდეს ზურგი გაუმაგროს ლაშქრად წასულებს. სამ-მხრივ დაუდგრომელი, შეუჩერებელი უნდა იყოს ჩვენი ეროობების მოქმედება და მუშაობა. ყველგან, ჩვენი ქვეკნის ყოველ კუნჭულში უნდა შეიჭრას ერთი ძახილი:

— „სამშობლოს დაცვისათვის“.

ეროებმა უნდა შესძრან მთელი ხალხი, ფეხზე დააყენონ მამულისშვილნი და სათავეში ჩაუდხენ ზურგის ყოველდღიურ ერთსულოვან მუშაობას.

ეროებმა უნდა მყისვე, დაუყონებლივ შეასრულონ მთავრობის განკარგულებანი—ყოველგვარი დაყოვნება ან ყოყმანი მხოლოდ ასწეწს საქმეს.

ეროებმა უნდა შთააბეერონ ადგილობრივ მოსახლეებს მხნეობა და ენერგია—მათზე ახლოს ადარავინა სდგას ჩვენს ხალხთან.

და თუ როდისმე იყო საჭირო გაორკეცებული, მხნე და მუყაითი მუშაობა—ეს დღეს არის, რადგანაც სამშობლოს დაცვა ამას მოითხოვს.

ადგილობრივი მმართველობა.

ეროობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რუსეთში სულ სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ჩვენში სურთ მისცენ სახელმწიფო მოღვაწეებს. ვამბობთ „სურთ“, რადგანაც ჯერ-ჯეროობით არც ეროობის ფუნქციები და არც მისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან სათანადო გარკვეულ იურიდიულ ნორმებში არ არის ჩამოყალიბებული. პოლიტიკურ აზრს, უდავო ჭეშმარიტებად აქვს მიღებული ის დებულება, რომ ეროობა უნდა იყოს სახელმწიფო ძალა-უფლების ადგილობრივი ორგანო. მაგრამ ეს ერთი დებულება თავის თავად ვერ შესძლებს ეროობის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, თუ ყოველნაირი

გამოხატულება ადგილობრივი მართველობისა სათანადო გარკვეულ იურიდიულ ნორმებში ჩამოყალიბდა, კანონმდებლობით არ განისაზღვრა და არ შემოიფარგლა სფერო ადგილობრივი მმართველობის მოღვაწეობისა.

სწორედ ამ გამოურკვევლობის შედეგია, სხვათა შორის, ის დავა, რომელიც არსებობს საერობო ცენტრის უფლებების გაფართოვების შესახებ. დებულება, რომ ერობა სახელმწიფო ძალა-უფლების ადგილობრივი ორგანოა, ჰსურთ თავის ლოდიკურ დასკვნამდე მიიყვანონ და ერობათა კავშირსაც სახელმწიფო ძალა-უფლების ფუნქციები მიანიჭონ. თუ ერობაა ამ ძალის მატარებელი, ერობათა შეკავშირებულ ორგანოსაც ვერავინ დაუკარგავს ამ ძალასაო, ამბობენ ზემოხსენებული აზრის მომხრენი. მაგრამ საკმარისია ეს აზრი განვახორციელოთ, რომ მაშინათვე შევქმნათ ცენტრალური სახელმწიფო ძალა-უფლების **პარალელური** მისი მსგავსი ძალა-უფლების მატარებელი ორგანო, რაც აუცილებლად შეჰქმნის კონფლიკტს და პარალელიზმს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. ადგილობრივი მმართველობის თვისებანი და ფუნქციები, მისი დამოკიდებულება ცენტრალურ სახელმწიფოებრივ აპარატთან, რომ გამორკვეული იყოს, მაშინ ასეთს დავას ადგილი აღარ ექნებოდა და ერობაც თავიდანვე აირჩევდა სწორე გეზს, სწორე მიმართულებას განვითარებისას.

პრინციპიალური განსხვავება ჩვენი და რუსეთის შორის მარტო იმაში არა მდგომარეობს, რომ საქართველოს ერობა დემოკრატიული საარჩევნო წესითაა არჩეული, ხოლო რუსეთის ერობა ცენზიანი იყო, თავად-აზნაურთული. უმთავრესი, ძირითადი განსხვავება სწორედ იმ უფლებებშია, რომლებითაცაა აღჭურვილი ჩვენი ერობა. რუსეთის ერობა მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოებრივ **მეურნეობის** ორგანო იყო, ისიც ფრთებ-შეკვეცილი და გუბერნატორის მზრუნველი კანტროლის ქვეშ ჩაყენებული. ჩვენში ერობა სახელმწიფო **მმართველობის** ადგილობრივი ორგანოა. ცენტრალური ძალის, ასე ვსთქვათ, წარმომადგენელია. რუსეთში სახელმწიფო ძალა-უფლება განსახიერებული იყო ცენტრალურ მთავრობაში; ეს მთავრობა ჰმართავს სახელმწიფოს **დანიშნული** მოხელეების საშუალებით. ამიტომ მთელი სისტემა მართვა-გამგეობისა რუსეთში ბიუროკრატიული იყო. ჩვენში ადგილობრივ მოხელეებს ადგილი უნდა დაიჭიროს საყოველთაო საარჩევნო სისტემით **არჩეულმა** ადგილობრივი მმართველობის ორგანომ. ეს იქნება მართვა-გამგეობა საზოგადოებრივი და არა ბიუროკრატიული. მოხელეს ჩვენში უნდა დაეკისროს სპეციალური როლი კანონისა და განკარგულების აღმასრულე-

ბელისა, რაც თავის თავად არა ნაკლებ საპატიო და მნიშვნელოვანი მოვალეობაა.

რუსეთში, მთელი სახელმწიფო ძალა, ცენტრში იყო მოთავსებული. ამიტომ იგი ბიუროკრატიულ წესწყობილებასთან ერთად ცენტრალისტურიც იყო. ჩვენში ძალა-უფლება განაწილებულია ცენტრსა და ადგილობრივ მმართველობათა შორის. თუ გვინდა ნათელი და სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რანაირი მიმართულებით უნდა განვითარდეს ადგილობრივი მმართველობა, საჭიროა ვიცოდეთ, რანაირი **თვისებისაა** ეს ძალა-უფლების განაწილება ცენტრსა და ადგილობრივი მმართველობის შორის.

პოლიტიკურმა ცხოვრებამ იცის ორნაირი ძირითადი ფორმა ძალა-უფლების განაწილებისა ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ფედერატიულ სახელმწიფოში სუვერენულ უფლებათა მატარებელი ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ერთეულია, იგი თავის ნებისყოფით ნაწილს თავისი უფლებებისას უთმობს ცენტრს იმ საერთო სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად, რომელთათვისაც შექმნილია ფედერაცია. აქ ჰხდება დელეგაცია უფლებებისა პერიფერიიდან ცენტრში. წარმოვიდგინოთ, ამიერ-კავკასიის რესგუბლიკემა საჭიროდა და სასარგებლოდ დაინახეს ერთი ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა საერთო მიზნების განსახორციელებლად. ფედერაცია იქნება ეს საერთო აპარატი თუ კონფედერაცია, იგი მაინც ძალასა ჰპოვებს **მხოლოდ** იმ უფლებებში, რომლებსაც თვითეული ამ რესპუბლიკათაგანი თავისი ნებით დაუთმობენ, გადასცემენ ცენტრს. სხვა და სხვა ისტორიულ პირობებში ეს პროცესი ძალა-უფლების გადაცემისა, ან ბუნებრივი თანდათანი გადასვლისა, პერიფერიებიდან ცენტრში შეიძლება სხვა და სხვანაირად სწარმოებდეს, გარდა ამისა დროთა ვითარებით შეიძლება ცენტრსა და პერიფეროებს შორის არსებული პროპორცია ძალა უფლების განაწილებისა დაირღვეს ან ერთის ან მეორეთა სასარგებლოდ, დღეს ისეთი აღარ იყოს, რანაირიც თავისი წარმოშობის დროს იყვნენ მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფედერატიულ სახელმწიფოში მაინც ცენტრალური მმართველობის ძალა-უფლების დასაწყისად ადგილობრივი სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული უნდა ჩაითვალოს.

არის სახელმწიფო ძალა-უფლების განაწილების მეორე ფორმაც, როდესაც ადგილობრივი თვითმართველობის ძალა-უფლების დასაწყისად ცენტრი გადაიქცევა ხოლმე. ეს არის სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია. დეცენტრალისტურ სახელმწიფოში დელეგაცია უფლებებისა

ხწარმოებს არა პერიფერიიდან ცენტრისკენ, არამედ ცენტრიდან პერიფერიისკენ. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ უფლებათა თვისებისა და ბუნების გამორკვევის საქმეში, რომელთა მატარებელიცაა ადგილობრივი თვითმართველობა, ანუ, როგორც ჩვენში ვხმარობთ, მმართველობა დეცენტრალისტურ და ფედერატიულ სახელმწიფოებში. ჩვენში, სახელმწიფოს შიგნით, ფედერატიული წესწყობილება არ არის განსახორციელებული; ამიტომ ადგილობრივი მმართველობა მოკლებულია სუვერენულ სახელმწიფოთა ან კანტონების არსებითს ბუნებას—პოლიტიკურსა და საკანონმდებლო უფლებას. ეს უფლება სავსებით მიკუთვნებული აქვს ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოს—საქართველოს პარლამენტს და ან პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ ცენტრალურ მთავრობას. ადგილობრივი მმართველობა ჩვენში სრულიად დამოუკიდებლად და თავისუფლად ანხორციელებს მხოლოდ იმ კანონებსა და განკარგულებებს, რომლებსაც ჰქმნიან პარლამენტი და ცენტრალური მთავდობა.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა და სხვანაირ პრაქტიკულ გამოხატულებას თუ გავეცნობით ჩვენთვის ცხადი გახდება როლი და დანიშნულება ადგილობრივი მმართველობისა საქართველოში. დავიწყოთ ადმინისტრაციიდან. საერთო კანონები ადმინისტრატიული მართვა-გამგეობისა მუშავდება ცენტრალური პარლამენტის მიერ. საერთო ხელმძღვანელობაც დაკისრებული აქვს ცენტრალური მთავრობის სათანადო უწყებას—შინაგან საქმეთა სამინისტროს. მაგრამ მთელი პრაქტიკული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციის მოწყობის საქმეში დაკისრებული აქვს ადგილობრივ თვითმართველობას—ქალაქისა და ერობის თვითმმართველობათა საბჭოებებს და გამგეობებს. საქალაქო და სამაზრო მილიციის უფროსებს **ირჩევენ** ადგილობრივი თვითმმართველობანი. სისხლის და სამოქალაქო სამართლის კანონებს იმუშავებს პარლამენტი, საერთო ხელმძღვანელობა სამართლისა ჩვენში დაკისრებული აქვს იუსტიციის მინისტრსა და პარლამენტის მიერ არჩეულ სენატს. მაგრამ ადგილობრივ სამართალს აწარმოებს თვითმართველობათა მიერ **არჩეული** და მათი კანტროლის ქვეშმყოფი ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეებისა. ცენტრალური მთავრობის სრულს განკარგულებაში იმყოფება მხოლოდ საბრალმდებლო ნაწილი, როგორც მცველი და დასაჯი კანონიერებისა. სახალხო განათლების საერთო ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ცენტრალური მთავრობის სახალხო განათლების მინისტრს, მაგრამ სკოლები ერობათა და ქალაქების განკარგულებაშია გადასული. ზემოდ

ჩამოთვლილი შემთხვევები ნათლად გვიმტკიცებენ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ჩვენში ადგილობრივი მმართველობა. არის ჯერ კიდევ ბევრი ისეთი მოვლენა, რომელსაც გარკვეული სახე არა აქვს მიღებული და ამიტომ არ შეგვიძლიან დაბეჯითებით ვსთქვათ, რამდენად დიდია ადგილობრივი მმართველობის მონაწილეობა მასში. სრულიად გამოურკვეველი და ბუნდოვანია, მაგალითად, ადგილობრივ მმართველობათა საბიუჯეტო უფლებანი. ჯერ საკანონმდებლო გზით არ გადაწყვეტილა, რანაირ გადასახადების ახდევინებს ადგილობრივი მმართველობა თავის სასარგებლოდ და რანაირ გადასახადებს ახდევინებს იგი ხალხს სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ საკითხის გამორკვევა, რომელსაც სხვათა შორის ძალიან დიდი არევ-დარევა შეაქვს ადგილობრივ თვითმართველობის ცხოვრებაში, მორიგ საქმედ არის გადაქცეული და მთელი ჩვენი გულის ყური საესებით იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ რაც შეიძლება მალე საბოლოოდ ჩამოყალიბდეს თვითმმართველობათა საბიუჯეტო უფლებანი, რაც შეიძლება მალე შემოღებულ იქმნას ერთი გარკვეული, მთლიანი სისტემა გადასახლებისა. სხვა სფეროშიაც ბევრი რამ არის გამოურკვეველი, მაგრამ გეზი თვითმართველობათა განვითარებისა უკვე აღებულია, და ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, თუ გვინდა იდგილობრივი თვითმართველობანი მოღონიერდნენ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილ-დღეობის მტკიცე საფუძვლად გადაიქცნენ.

როგორც მკითხველი ზემოდ თქმულიდან დაინახავს, ადგილობრივი თვითმმართველობა ჩვენი საკონსტიტუციო წარმოების ცხოვრებაში გამტარებელია. ამიტომ უფლებრივი სახელმწიფოს შექმნის საქმეში ადგილობრივ თვითმმართველობას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ შექმნილი კანონების ერთად-ერთი და უდიდესი დამცველი და ქომაგი ადგილობრივ თვითმმართველობა უნდა იყოს ეს კი, ხანდიხან ავიწყდებათ ეროობათა მოღვაწეებს. განსაკუთრებით თემთა საეროობო მოღვაწეებს. ქართველი ხალხი ძალიან დიდ ხან სცხოვრობდა თვითნებობისა და უფლებების ატმოსფერაში. რესპუბლიკანური წესწყობილება მხოლოდ მაშინ არის ძვირფასი, როდესაც იგი მცხოვრებთა სამოქალაქო უფლებრივ შეგნებას ემყარება. უფლებრივი შეგნების მწურთვნელად, უფლებრივი შეგნების პრაკტიკულ აღმზრდელად ადგილობრივ თვითმმართველობა უნდა გადაიქცეს, განსაკუთრებით კი სათემო თვითმმართველობა, რომელიც ყველაზე ახლო სდგას მცხოვრებთა მასასთან და რომელსაც მეტი საშუალება აქვს აღმზრდე-

ლობით მუშაობის წარმოებისა. სრული თვითმოქმედება, შეუზღუდველი ადგილობრივი საქმიანობა შეთანხმებული ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოსთან და რესპუბლიკის ძირითად კანონებთან,—აი ფართო ასპარეზი საქართველოს თვითმართველობათა მოღვაწეობისთვის. ამ ასპარეზზე თვითმმართველობისთვის ბევრნაირი შესაძლებელობანია გადაშლილის—კოლა, სამეურნეო ცხოვრების გაჩაღება, ადმინისტრატიული აპარატის გაუმჯობესება, სამართლის პრესტიჟის ამაღლება,—ყველაფერი ეს თვითმმართველობის მუშაობის სფეროს შეადგენს. თუ თვითმმართველობამ ამ მხრით ენერგია გამოიჩინა, კულტურული ცხოვრება წინ წავა და ქართველი ხალხის წინ გადაიშლება ახალი ჰორიზონტები განვითარებისა, კულტურული აღორძინებისა და შეგნებული სამოქალაქო ცხოვრებისა.

ალ. ჯავჯანაშვილი.

თემი ამერიკაში.

ამერიკაში ადგილობრივ თვითმართველობის უდიდეს ერთეულად ითვლება საგრაფო (ჩვენი სამაზრო ერობა), რომელიც იყოფა ტაუნებზე, ტაუნშიპებზე ან დისტრიკტებზე. ყველა ესენი წარმოადგენენ საგრაფოს შემადგენლობას; ხოლო იმავე დროს, უფრო დასახლებულ ოლქებს აქვთ თავისი დამოუკიდებელი ორგანიზაცია,—ეს ისეთი სოფლებია, რომლებსაც ტაუნების, დაბის ან ქალაქის უფლება აქვთ.

ამერიკის ადგილობრივ თვითმარველობის ცნობილი მკვლეველი მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ფერლი, რომლის თხზულებით მე ესარგებლობ, ამერიკელთა წვრილი საეროობო ერთეულების აღწერის დროს, მოყავს ისეთი საგულისხმო მოვლენა, რომელიც განსაკუთრებულად ახასიათებს ამერიკის ადგილობრივ თვითმართველობას; სახელდობრ,—ამერიკელთა წვრილი ერთეულების სხვადასხვა მხარის ოლქები, ისე განირჩევიან ერთმანეთისგან, რომ მათი შესწავლა და განსაზღვრა, როგორც ერთგვარი საგნის, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც, მოუხერხებელია ამერიკის წვრილი საეროობო ოლქის ერთეულების წყობილების ერთ ფარგალში მოქცევა, რაც ადვილია რუსეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვათა შესახებ.

ყველაზე საინტერესო და ტიპიურ ორგანიზაციათ ითვლება ახალი ინგლისის ტაუნები, შემდეგ—ცენტრალურ შტატების ტაუნშიპები და ამერიკის სამხრეთის და დასავლეთის საოლქო საგრაფოები და ბოლოს უფლება მიცემული ტაუნები, დაბები და პატარა ქალაქები.

რას წარმოადგენენ ტაუნები ახალ ინგლისში? პირველად საჭიროა აღნიშნოთ, რომ მათი გავლენა და მნიშვნელობა დიდია, არა მარტო საგრაფოს ცხოვრებაში, არამედ მთელ შტატში. ეს იმით აიხსნება, რომ ტაუნების მოღვაწეობის ფარგალში შედის იმნაირი უფლება და მოვალეობანი, რომლებიც სხვა შტატებში, როგორც მაგალითად ამერიკის სამხრეთის და დასავლეთის ნაწილებში სათანამდებო პირთა კომპენტენციას ეკუთვნის, და ამის გარდა, ისინი აერთებენ სოფლის ადგილების ტაუნშიპების ფუნქციებს და ქალაქის ტიპის სოფლებს.

მაგრამ უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ ტაუნში, რომლის პრინციპის საფუძველი დამოუკიდებელი ხალხური მართველობაა.

თუ რანაირი უფლება და მოვალეობა აქვს ტაუნებს, ამის შესახებ არც კანონებში, არც კონსტიტუციის ტექსტში, არავითარი ხსენება არ არის. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტაუნები უზრუნველყოფილი არიან მოქმედების თავისუფლებაში. თუმცა ზოგიერთი უმაღლესი მოსამართლის ახსნით, ტაუნები დამოკიდებული უნდა იყვნენ შტატის კრებების კანონდებულობისაგან. ტაუნები, ასე ამბობს შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე გრეი, — სატერიტორიო კორპორაციებია, რომლის ფარგლებში სახელმწიფოს ეკუთვნის საკანონმდებლო უფლება, რასაც სახელმწიფო ხან გამოშვებით ანხორციელებს ზოგიერთი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის სახით და წესრიგის მიცემის დროს. მაგრამ, ვიმეორებ, ახალ ინგლისის ბევრ ტაუნებს ეკუთვნის დამოუკიდებელი და არა რომელიმე პოლიტიკურ დაწესებულების მიერ ბოძებული უფლება. განსაზღვრონ დამოუკიდებლად საკუთარი კომპენტენციის ფარგლები. ტაუნები იმ წესს მისდევენ, რომლის ძალითაც სტატუტების დადგენილება არ ითვლება სავალდებულო ხასიათის ნორმებათ, არამედ ფაკულტატიურ ნორმებათ, რომლებიც აღნიშნავენ სასურველ საერთო პოლიტიკის და ერთგვარ სახელმწიფო მოღვაწეობის მეთოდებს.

თუმცა ამ უკანასკნელ ხანში ტაუნები თანდათან ემორჩილებიან საკანონმდებლო შტატის კრებას და ამნაირად ჰკარგავენ მითვისებულ პრივილეგიებს.

სანამ ტაუნების მოწყობის ხასიათს შეუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ტერიტორიის რაოდენობა, ისე მცხოვრებთა რაოდენობა ახალი ინგლისის ტაუნებისა, არ არის ერთნაირი. ტერიტორია, რომელიც ამა თუ იმ ტაუნს უჭირავს, დაახლოვებით ოციდან დაწყებული, ორმოც კვადრატ მილამდე ადის; ამასთანავე ტაუნების მომეტებულ ნაწილს, უმთავრესად სოფლის ხასიათი აქვს, და მცირედს კი პატარა ქალაქების ხასიათი, მათდამი კუთვნილი უფლებით. ტაუნების მცხოვრებთა რიცხვი აგრეთვე სხვა და სხვაა. მრავალ რიცხოვანმა ტაუნებმა მიიღეს ქალაქის უფლება ქალაქის გამგეობით, მაგრამ ეს გამონაკლისია ე. ი. უმეტეს შემთხვევაში ტაუნები იტოვებენ თავის ორგანიზაციას ხელუხლებლად. ტაუნების უმეტეს ნაწილში, სოფლებში, არ არსებობს ცალკე სამმართველოები, და როგორც ქალაქის ტიპის სოფლები, ისე ტაუნების სასოფლო ნაწილები ემოჩილებიან ტაუნის გამგეობის კონტროლს. საერთოთ, ტაუნების უმეტესი ნაწილის მცხოვრებთა რაოდენობა, შეადგენს არა უმეტეს 4,000 კაცისას. (საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ შორაპნის მაზრის თემის წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა, რომ თემები უნდა შესდგებოდეს ეტნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობების მიხედვით და რომ თემში უნდა იყოს არა ნაკლები 100 და არა უმეტეს 300 კომლისა.)

ტაუნების ადმინისტრატიული მოვალეობა და უფლება მრავალრიცხოვანია და სხვა და სხვა. შეიძლება მოვიყვანოთ ორმოცდაათამდე უმთავრესი საკითხები ტაუნების გამგეობის ფარგლებიდან, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხებს. ტაუნების გამგეობის უმთავრესი დარგები არიან—საგზაო საქმე, ჭაობის გაშრობა, სკოლის საქმე, ღარიბთა მზრუნველობა და დაბეგვრა ადგილობრივ გამგეობის საქმეთა მოსაწყობათ. შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ქუჩის გაყვანა, ხიდების აშენება და ქუჩის ქვაფენილის რემონტი, წყლის სადენის მილების გაყვანა, არხების სამუშაოები, ელნქტრონის სადგურები, საზოგადო აბანოები, ბაღები, წიგნსაცავები (ბიბლიოთეკები), უმაღლესი სკოლები, ჰოსპიტლები და სხვადასხვა საზოგადო და დაწესებულებათა მოწყობა. მათ ეძლევათ აგრეთვე საპოლიციო განკარგულებათა გამოცემის უფლება და აგრეთვე უფლება მაგარი სასმელების წვრილ-წვრილად გაყიდვისა თემში. გარდა ადგილობრივ მნიშვნელობის მოვალეობის აღსრულებისა ტაუნებს თანდათანობით ეკისრება საერთო სახელმწიფო ხასიათის მოვალეობის ასრულება შტატის საკანონმდებლო კრების მიერ დავალებათა აღსრულება. მაგალითად, უკანასკნელ ხანში

ტაუნები ბეგრავენ და აგრეთვე კრეფავ შტატის გადასახადებს, აწარმოებენ ანგარიშს მცხოვრებთა სტატისტიკის მიხედვით, მოჰყავთ ასრულებაში შტატის კანონები და სხვა. გარდა ამისა ახალი ინგლისის ყველა შტატებში ტაუნები ითვლებიან საარჩევნო ოლქებად, როგორც შტატის საკანონმდებლო კრების წევრების, ისე თანამდებობის პირთა ასარჩევათ. მთავარი უფლებით აღჭურვილია ტაუნ-მიტინგი ან პირველი კრების ტაუნის ამომრჩევლები, აღმასრულებელ მოღვაწეობისთვის ამორჩეულნი არიან თანამდებობის პირნი. მათში მნიშვნელოვანი არიან: ამორჩეული ტაუნის მდივანი და სკოლის კომიტეტი, რის შესახებ შემდეგ წერილში.

ვლად. ტკაჩოვი-ახობაძე.

მოსავალი თბილისის მაზრაში 1919 წ.

მთელი მაზრის 1919 წლის მოსავლის შედეგების მოკლე მიმოხილვის შემდეგ გადავდივართ მოსავლის რაოდენობის განხილვაზე ცალ-ცალკე თემებში.

მოგვყავს საშუალო მოსავალი ერთ დესეტინაზე:

თემები:	ანეული ხორბ	ახალთეს. ხორბ.	ანე. ქერი	ახალთ. ქერი	ფეტვი
მანგლისი	ცნობები არ არის		—	—	—
აღბულახი	31,6	39,00	92,5	95,0	—
გარეუბანი	18,5	30,0	17,5	21,6	—
ასურეთი	26,1	22,6	25,0	—	—
მარტყოფი	27,6	26,0	24,0	34,2	—
სართიჭალა	29,8	29,7	33,0	48,7	27,0
საგარეჯო ურწყ. მიწ.	27,3	46,6	42,8	56,6	21,0
სარწყავ. მიწ.	35,8	43,5	44,2	53,5	28,10
ყარაიაზი სარწყ. მიწ.	34,1	—	38,0	—	—

ყველაზე მეტად მოსავალი დაზარალებულია გარეჯნის თემში. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვემყარებით იმ ჩვენებებს, რომელნიც ეხებიან უმთავრესათ ანეულ ხორბალს და, რადგანაც მის შესახებ შე-

ლარებით მეტი ჩვენებები გვაქვს, საშუალო მოსავლის რაოდენობის რიცხვები შეიძლება ჩაითვალოს მოსავლის მდგომარეობის მტკიცე გამომხატველათ.

მოსავლის დაზიანებას გარეუბნის თემში ქონდა თავისი მიზეზები; გარდა ნოტიო და ცივი ზაფხულისა, ხორბლეულობას გარეუბანში და ზოგიერთ სხვა ადგილას დიდი ზიანი მიაყენა ორჯელ მოსულმა სეტყვამ.

საშუალო მოსავლის რიცხვები ასურეთის, მარტყოფის და საგარეჯოს (ურწყავ მიწაზე) თემებში თითქმის ერთნაირია. აღბულახის და სართიჭალის თემებში კი ცოტა განსხვავებაა. მოსავალი რამოდენიმეთ უკეთესი ყოფილა სარწყავ მიწაზე საგარეჯოში და მთელ ყარაიაზის თემში, სადაც მიწები ყველა სარწყავია.

მანგლისის თემის შესახებ ცნობები არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მოსავალი იქ იგივე იყო, რაც აღბულახის თემში, რადგანაც ბუნებრივ პირობებს ორივე დასახელებულ თემებში თითქმის არა აქვს განსხვავება.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ აგრეთვე ცნობები აბსოლიუტური ციფრებით და პროცენტებით დათესილ და დაუთესავი სახნავ მიწის რაოდენობისა 1919 და 1917 წლებში ცალ-ცალკე თემებში.

თემები:	სახნავ მიწის რაოდენობა 1917 წლის აღწერით.	დათესილ მიწის რაოდენობა	
		1919 წ.	1917 წ.
მანგლისი	2921,95	2048,00	1247,39
აღბულახი	5164,43	4163,00	2637,38
გარეუბანი	4706,26	2403,00	1370,37
ასურეთი	4783,04	3861,00	2321,54
მარტყოფი	9147,30	4235,00	2312,27
სართიჭალა	7853,74	3916,00	2443,43
საგარეჯო	5941,02	2934,00	2156,59
ყარაიაზი	2458,95	2957,00	1977,31
ს უ ლ: . .	42.975,99	26.417,00	16.452,57

თემები:	დაუთესავათ დარჩენილი მიწის რაოდ. ნაწვერალი	დასვენებული სახნ. მიწა	სულ
მანგლისი	131,30	1543,26	1674,56
აღბულახი	40,67	2486,38	2527,05
გარეუბანი	505,80	2830,20	3336,00
ასურეთი	62,61	2412,69	2475,30
მარტყოფი	636,63	6198,40	6835,03
სართიჭალა	850,83	4559,48	5410,31
საგარეჯო	1153,93	2630,50	3784,43
ყარაიაზი	91,74	389,20	480,94
სულ: . .	3473,51	23049,91	26523,42

დათესილი მიწის რაოდენობამ 1919 წელში 1917 წელთან შედარებით მოიმატა: გარეუბნის თემში 74,63%, სართიჭალის—60,26%, საგარეჯოს—35,12%, მარტყოფის—83,15%, მანგლისის—64,10%, აღბულახის—57,84%, ყარაიაზის—49,54%, ასურეთის—66,31%.

დათესილი მიწის რაოდენობის მომატება 1919 წელში 1917 წელთან შედარებით გამოიხატება შემდეგ აბსოლიუტურ ციფრებში (განსხვავება): მანგლისის თემში—800,61 დეს., აღბულახის—1525,62, გარეუბნის—1032,63, ასურეთის—1539,46, მარტყოფის—1922,73, სართიჭალის—1472,57, საგარეჯოს—777,41, ყარაიაზის—979,69, სულ მაზრაში დათესილია 1919 წელს ზეიმეტი—10050,72 დესეტინა.

1917 წელს დათესილი იყო 38,28%, სახნ. მიწებისა 1919 წელს კი 71,47%, მომატებულა 23,19%. 1917 წელს დაუთესავი (ნაწვერალი) იყო მოელი სახნავი მიწების—8,98%, რაც 1919 წელში დათესა, და ამას მიემატა დასვენებული მიწიდან 15% მდე, რამაც შეადგინა ზემო აღნიშნული 23,19%. ამ რიგათ 1919 წელში დარჩა სულ დაუთესავი 38,53%. (100%—61,47%)

ეხლა მოვიყვანოთ 1919 და 1917 წლებში დათესილ მიწის რაოდენობა პროცენტებით მთელ მაზრის სახნავ მიწების მამართ.

თემები:	დათესილი იყო 1919 წ.	დათესილი იყო 1917 წ.	დათესილ მიწის რაოდენობას 1919 წელშა მოემატა
მანგლისი	4,76%	2,90%	1,86%
აღბულახი	9,67%	6,10%	3,57%

გარეუბანი	5,59%	3,18%	2,41%
ასურეთი	8,09%	5,40%	2,69%
მარტყოფი	9,85%	5,38%	5,47%
სართიჭალა	9,11%	5,68%	3,43%
საგარეჯო	6,85%	5,01%	1,84%
ყარაიაზი	6,74%	4,64%	2,10%
ს უ ლ . .	61,47%	38,28%	23,19%

როგორც ვხედავთ უკანასკნელ ორი ცხრილიდან დათესილ მიწის რაოდენობა გაზრდილა უფრო იქ, სადაც მეტი იყო დაუთესავი მიწები.

სხვა და სხვა ნათესების (კულტურის) პრაპორცია მაზრაში 1917 წ. გამოიხატება შემდეგ ტაბულაში:

ანეული ახალთესლი ხორბალი	შვრია	სიმინდი	ფეტვი	ლობიო	ბამბა	ქსელი
90%	0,06%	4,94%	0,12%	0,44%	0,32%	—

კანაფი	აზისუმზერა	კარტოფილი	ბახჩა	საქმელი ბარხალი	თუთუნი	იოსტანი
0,07%	0,27%	1,64%	1,22%	0,07%	—	1,05%

სხვა და სხვა ნათესების (კულტურის) პრაპორცია თემების ნათესების რაოდენობის მიმართ:

	მანგლისი	აღბულახი	გარეუბანი	ასურეთი	მარტყოფი	სართიჭალა	საგარეჯო	ყარაიაზი
ანგული ხორბლეულ	67,17%	80,38%	69,32%	92,01%	90,54%	79,73%	71,02%	78,55%
ახალთ. ხორბ.	27,72%	8,66%	26,28%	3,67%	9,00%	68 9%	3,46%	4,40%
შვრია	—	—	0,27%	0,43%	0,06%	1,34%	0,02%	0,06%
სიმინდი	—	3,62%	0,05%	0,06%	0,05%	8,05%	21,44%	2,45%
ფეტვი	—	0,03%	—	—	—	0,04%	0,90%	0,03%
ლობიო	—	0,14%	0,15%	0,06%	—	0,57%	2,59%	—
ბამბა	—	—	—	—	0,02%	—	—	2,67%
ქსელი	—	—	—	—	0,06%	0,06%	—	0,01%
კანაფი	—	—	—	—	—	0,56%	—	—
მზისუმზერა	0,02%	—	—	—	0,01%	0,11%	—	2,22%

კარტოფილი	5,05%	2,28%	—	2,37%	0,02%	1,57%	0,50%	2,39%
ბახჩა	—	—	0,07%	—	—	0,01%	—	1,89%
ბოსტანი	0,02%	1,03%	3,81%	0,32%	0,02%	0,13%	—	4,91%
საპმ. ჭარხ.	—	—	—	—	0,13%	0,33%	—	0,12%
თუთუნი	—	—	—	—	—	—	—	0,02%
ს უ ლ .	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ თბილისის მაზრაში მთავარი ადგილი სოფლის მეურნეობაში, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, უჭირავს ხორბლეულობას, განსაკუთრებით კი ანეულ ხორბალს. ხორბლეულობა სხვა ნათესებთან შედარებით შეადგენს ყველა თემებში 92%-დან 99%-მდე. გარეუბანის თემში ხორბლეულობა შეადგენს 95,65%, სართიჭალის თემში—94,67%, საგარეჯოს თემში —95,92%—. (ამაში შედის 21,44% სიმინდი, რომელსაც საგარეჯოს რაიონში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს). სართიჭალის თემში სიმინდი შეადგენს 8,05%. დანარჩენ თემებში თითქმის არ ითესება. მარტყოფის თემში ხორბლეულობა შეადგენს ყველა ნათესების 99,59%—სჩანს სხვა ნათესი თითქმის არაფვრი ითესება; მანგლისში—94,89%, აღბულახში—92,66%, ყარაიაზში—85,40%, უკანასკნელ თემში დანარჩენ თემებთან შედარებით სხვა ნათესებსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, მაგ.: ბოსტანი შეადგენს —4,91%, კართოფილი 2,39%, მზესუმზირა—2,22%, ე. ი. ხორბლეულობის გარდა სხვა ნათესები უდრის თითქმის 15%. ასურეთში ხორბრეულობა შეადგენს 95,74%. ყარაიაზის გარდა ბოსტანი მოჰყავთ აგრეთვე გარეუბანში — 3,81%, დანარჩენ თემებში უმნიშვნელოა. კართოფილი ყველაზე მეტი მოყავთ მანგლისის თემში—5,05%. შემდეგ, გარდა ყარაიაზისა, ასურეთში და აღბულახში. საერთოდ ხორბლეულობა შეადგენს მთელ მაზრაში 94,94%. დანარჩენი კულტურა კი 5,06%. ეს ნათლად მოწმობს პირველის და მეორის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობაში.

დაბოლოს ზედმეტი არ იქნება გამოვიანგარიშოთ მთელი ხორბლეულობის მოსავლის რაოდენობა თემებში (ფუთობით):

	ანელური ხორბ.	ახალთეს. ხორბ.	ს უ ლ
მანგლისი. . . .	22432	7104	29536
აღბულახი . . .	79420	2175	81595
გარეუბანი . . .	14560	7440	22000
ასურეთი. . . .	45200	416	45616
მარტყოფი . . .	61344	4788	66132

სართიჭალა . . .	67420	2000	69420
საგარეჯო . . .	52729	2205	54934
ყარაიაზი	46704	3408	50112
სულ	389.809	29536	419.345

	ანეული ქერი	ახალთ. ქერი	**სულ**
მანგლისი. . . .	1218	9548	10766
აღბულახი . . .	7700	16200	23900
გარეუბანი . . .	2552	2372	5924
ასურეთი. . . .	13575	1575	15150
მარტყოფი . . .	4570	2496	7066
სართიჭალა . . .	5819	7488	13307
საგარეჯო . . .	3168	3290	6458
ყარაიაზი. . . .	21224	308	21532
სულ	59.826	44277	104.103

ასეთია მოკლეთ 1919 წლის მოსავლის მდგომარეობა ცალკე თემებში.

გ. ბენაშვილი.

სახელმწიფო, ერობა და გადასახადები.

სახელმწიფო დიდი მეურნეობაა, სახელმწიფოს ყავს **ჯარები**, ჯარებმა უნდა დაიცვას სახელმწიფო შინაური და გარეშე მოსული მტრებისაგან.

სახელმწიფოს აქვს **სკოლები** და **მასწავლებლები**. სკოლებმა და მათმა მეთაურებმა და ხელმძღვანელებმა უნდა ასწავლოს ხალხს, სწავლა-განათლება მისცეს.

სახელმწიფოს აქვს **რკინის გზები, გზატკეცილები**, რკინის გზებით ხალხი თავის საქმეებზე მიდი მოდის, გადააქვს და გადმოაქვს საქონელი, სურსათი, სანოვაგე.

სახელმწიფოს ყავს **მილიცია**, რომელიც იცავს თითეული მოქალაქეს პიროვნებას და ქონებას.

ბევრი, რამ კიდევ აქვს მოწყობილი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის. მთავრობა სდგას ამ დიდ მეურნეობის სათავეში და უწევს მას ხელმძღვანელობას, მუდმივ დარაჯათ უდგას ამ მეურნეობას, რათა არ შეჩერდეს და არ შეფერხდეს მისი მდგომარეობა. ვისგან შესდგება მთავრობა, ვინ დააყენა მთავრობა, ვინ მიაბარა მთავრობას ამ დიდი, სახელმწიფოს მეურნეობის ხელმძღვანელობა და მეთაურობა? ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ისე არის მოწყობილი, იმნაირად არის აგებული მისი მართვა გამგეობის წესი, რომ მთავრობა **ერის, ხალხის მიერ არის არჩეული.** მთავრობა თვით ხალხის გულის გამონაყოფი არის. მთავრობა შესდგება **ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი** პირებისგან.

მრავალ რიცხოვანი ხალხი თითონ პირადათ ვერ ჩაუდგება სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეს. ხალხი თითონ უნდა განაგებდეს თავის სახელმწიფოს საქმეების გამგეობას, ხოლო ეს შეუძლებელი არის, რადგან მართვა გამგეობა, მეურნეობა ასეთი საქმე არის, რომ ის ერთი ადამიანის ხელში უნდა იყვეს. აი თითეულ ოჯახის მეურნეობა ავიღოთ. სოფლის მეურნეს შევხედოთ. მთელი ოჯახის მეურნეს ხომ არ მიუძღვება მეურნეობის საქმე. მეურნეობას ხელმძღვანელობას უწევს, სათავეში უდგას ერთი წევრი ოჯახისა, ის არის ბელადი და წინამძღოლი. დანარჩენს წევრები ოჯახისა ეხმარებიან და თანამშრომლობენ. ასეა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეც.

ხალხი სახელმწიფოს მეურეობას **ანდობს, აბარებს** მთავრობას და ავალებს მას ყოველ ნაირი საშუალება იხმაროს, ყოველნაირი გამჭრიახობა გამოიყენოს, რომ სახელმწიფოს მეურნეობა კარგათ მოეწყოს, გამოდის, რომ მთავრობა, ხალხის ერის ჰერ ნდობით აღჭურვილი არის. **ხალხის ნოქარი,** როდესაც ეს ერის ნოქარი, კეთილ სინდისიერათ ასრულებს ხალხის, ერის დავალებას როდესაც გულდადებით მიუძღვება სახელმწიფოს საქმეების ხელმძღვანელობას, ხალხი ვალდებული არის ამ თავის ნოქარს დაეხმაროს, გვერდში ამოუდგეს. მთავრობა არის მხოლოდ **მოურავი** ხალხის მიერ არჩეული და საქმეზედ დაყენებული.

სახელმწიფოს მართვა გამგეობა დიდი საქმეა. სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეებს, ნაწილებს უნდა გაწვდეს მთავრობის თვალი. მთავრობა მართვა-გამგეობის საქმეს ანაწილებს. ადგილობრივ მართვაგამგეობა გადადის თემების, ერობების ხელში. თემი, ერობა, ქალაქის თვით-მართველობა წარმოადგენს ნაწილს სახელმწიფოს მთავრობისას. თემი, ერობა, ქალაქის თვითმართველობა მიიღებს უფლებას ხალხისაგან, ყველანი არჩეულნი არიან, ყველანი ხალხის ნდობით აღჭურვილნი არიან.

თემის, ეროვნის და ქალაქის თვითმართველობა არის ის საფუძველის, რომელზედაც დაყდრნობილი არის მთავრობა და განავებს. ეროვნების, ქალაქების თვითმართველობანი ქსელივით არიან გაბმული მთელ რესპუბლიკაში და ზადამხედველი ამ ქსელისა არის მთავრობა.

მთავრობა ადგილობრივი ეროვნებით, ქალაქის თვითმართველობით აწყობს სახელმწიფოს საქმეებს: იცავს სახელმწიფოს გარეშე მოსული მტრისაგან, იცავს მოქალაქის საკუთრებას და პიროვნებას, ავრცელებს სწავლა განათლებას, უვლის და აწყობს გზებს, ერთის სიტყით მიუძღვება დიდ მეურნეობას.

ჯარების, მილიციის, სკოლების, რკინის გზების შენახვას, თვითმართვა გამგეობის მოწყობას უნდა **სახსარი** საშუალება, სჭირდება ფულები.

სად უნდა იშოვოს და რანაირად უნდა გამოსძებნოს საჭირო სახსარი, მთავრობამ, ეროვნებამ, თემმა მეურნეობისათვის!

ჯარის კაცს ჩაცმა უნდა, დახურვა უნდა, საჭმელი, სასმელი; სკოლას აგება უნდა, მოვლა უნდა, მასწავლებელს ჯამაგირი უნდა მიეცეს. მაშასადამე ფული უნდა და დიდი ფული.

ვის ემსახურება, ვისთვის მოქმედებს მთავრობა, ეროვნება, ქალაქის თვითმართველობა? მთავრობა იცავს მოქალაქეს, მთავრობა ასწავლის მოქალაქეს, მთავრობა აძლევს მიმოსვლის საშუალებას მოქალაქეს. მთავრობა ისეთ წეს-წყობილებას ქმნის, რომ მოქალაქეს შეუძლია მყუდროთ იცხოვროს, აწარმოოს თავის საქმეები, თავის ცოლ შვილის კეთილდღეობაზედ იზრუნოს. მთავრობა, ეროვნება, სხვა და სხვა ნაირს სამსახურს უწევს მოქალაქეს, ამ სამსახურს უწევს მუდმივ. მაშასადამე ამ სამსახურს სჭირდება **ხარჯის** გაწევა. სახელმწიფოს ხარჯები გამოწვეულია ჯარის, მილიციის, რკინის გზების, სკოლების შენახვით, ყველა ეს კი ემსახურება ხალხის კეთილდღეობას. მაშასადამე, ხალხმა **გასამრჯელოც** უნდა გამოიღოს. სამსახური, რომელსაც სახელმწიფო, ეროვნება უწევს ხალხს სხვა და სხვა დაწესებულებების შემწეობით უნდა იქნეს **ანაზღაურებელი** ხალხის მიერ. ამისათვის არის შემოღებული სხვა და სხვა **გადასახადები**. რა არის გადასახადი? გადასახადი არის მონაწილეობა ხალხის სახელმწიფოს შეურნეობაში. გადასახადი არის ის თანხები, რომლებიც ხალხმა უნდა გამოიღოს, რათა დაფაროს ის ხარჯები, რომლებიც მთავრობამ გასწია მოქალაქეს სასარგებლოთ; შეუძლია თუ არა მოქალაქეს გადასახადები მისცეს სახელმწიფოს, ეროვნებას, და საიდან უნდა ამოიღოს ეს გადასახადები? მთავრობა და ეროვნება აწ-

ყობს სახელმწიფოს წეს-წყობილებას, აშყარებს მყუდროებას, მაშასადამე მოქალაქეს შეუძლია თავისი მეურნეობა, თავისი საქმიანობა განაგრძოს; მეურნეობის, საქმიანობის ნაწილი მცირეოდენი **გადასახადის სახით** უნდა მისცეს მას, ვინც მოქალაქეს მისცა საშუალება მეურნეობის საშუალებისა. გადასახადი არის მხოლოდ **ნაწილი, მცირე ნაწილი** იმ ავლადიდებისა, რომელსაც ქმნის მოქალაქე სახელმწიფოში. სახელმწიფო, ერობა, მოითხოვს მოქალაქესაგან მონაწილეობას სახელმწიფოს მეურნეობაში, მხოლოდ მონაწილეობა შეადგენს მცირე ნაწილს იმ შეძლებისას, რომელიც მოქალაქეს აქვს. სიმდიდრეს, ქონებას აგროვებს მოქალაქე, რადგან სახელმწიფომ ისე მოაწყო საქმეები, რომ უშიშრათ შეიძლება მეურნეობა და საქმიანობა.

მაშასადამე გადასახადები არის მონაწილეობა მოქალაქესი სახელმწიფო მეურნეობაში. ეს მონაწილეობა შეადგენს მცირეოდენ ნაწილს მოქალაქის დოვლათისა.

შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არის დიდი გადასახადები, რომ მოქალაქე იძულებული არის დიდი ნაწილი დოვლათისა მისცეს სახელმწიფოს? გადასახადები ამ ჟამათ არ არის პატარა, თუ გნებავთ დიდიც არის. მხოლოდ გადასახადი დღესაც შეადგენს **ნაწილს** მოქალაქის დოვლათისას. გადასახადები დიდი არის და ამას რთული მიზეზები აქვს.

მთავრობა და ერობა სახელმწიფოს აშენებს და აშენებს ახალ საფუძველზედ. ძველი წეს-წყობილება დაინგრა და ამ ნანგრევებზედ იმართება ახალი ცხოვრება; წინეთ, რუსეთის მთავრობის დროს, ხალხი იღებდა მონაწილეობას მართვა მამგეობაში? მთავრობა აგზავნიდა შორიდან რუსის ჩინოვნიკებს, რომლებმაც არც ჩვენი ხალხის ენა იცოდა, არც ზნე ჩვეულება, არც გული შესტკივოდა მის ბედ იღბალზედ, ამ ჩინოვნიკებს ხალხი უნდა დამორჩილებოდა და სანამ მას თვით მთავრობა არ გადააყენებდა ხალხი ვერაფერს ვერ უზავდა. სკოლებს არ აშენებდენ, თუ აშენებდენ ასწავლიდენ არა დედის ენაზედ, არამედ უცხო ენაზედ, რუსულზედ. ჯარში გაყავდათ და გადააგდებდენ შორს ციმბირში,, რუსეთში და იქ აუტანელ, ჩვენი ხალხისათვის უჩვეულ პირობებში, იღუპებოდენ ახალგაზდები.

ეხლა კი სულ სხვა ნაირათ არის საქმე გაწყობილი; ხალხი თითონ იღებს მონაწილეობას მართვა გამგეობაში, თითონ განაგებს თავის ბედ-იღბალს, თითონ აყენებს ერობას, მთავრობას. ერთი შენობის დანგრევას და მეორეს აგებას დიდი ხარჯები უნდა და ეს ხარჯი უნდა გას-

წიოს მან, ვისთვისაც ახალცხოვრებას აწყობენ. ოთხი წლის ომიანობამ გაანადგურა ძლიერი სმხელმწიფოები, მით უფრო დიდი ზიანი მიაყენა პატარა სახელმწიფოს, სადაც ძველმა მთავრობამ, რუსეთის მთავრობამ, განზრახ არაფერი არ გააკეთა. არ მოაწყო არც ქარხნები, არც მრეწველობა, არ გაიყვანა გზები, არ მისცა ხალხს განათლება. განადგურებულ ცხოვრებას მოწესრიგება უნდა, მოწყობა უნდა; ამას კი ხარჯები სჭირდება და დიდი ხარჯები. ვისთვის და რისთვის აწყობს მთავრობა ამ ახალ ცხოვრებას? ხალიხსათვის. მაშასადამე ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ხარჯების გასწორებაში.

როდესაც სახელმწიფო შენდება, როდესაც ცხოვრება აწეწილია დანგრეულია, მეტი მუყაითობა და მეტი ხარჯებიც არის საჭირო, ასე არის კერძო მეურნეობაშიც. დანგრეულ განადგურებულ მეურნეობის აღდგენას დრო და ხარჯი უნდა. მხოლოდ როცა ეს შენება დამთავრდება, სახელმწიფო მოეწყობა, დანგრეული და დამსხვრეული გადაკეთდება, მაშინ ხარჯებიც შემცირდება, გადასახადებიც, ანუ ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოს ცხოვრებაში შემცირდება.

ვიდრე ეს მოხდება საჭირო არის დიდი გამჭრიახობა, დიდი საქმიანობა, დიდი მუყაითობა და ხელჩაბმული მუშაობა.

ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მეურნეობაში, ამ მონაწილეობის გამომხატველი არის გადასახადები.

პროფესორი **ს. ავალიანი.**

საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა.

განმარტება და მტკიცება რომელიმე შემეცნების ან დებულებისა იმაზე უკეთესად, როგორც ეს შესწევს ცხოვრების სინამდვილეს, ვფიქრობთ, სხვას არავის ძალუძს. ესევე ითქმის საქონლის ჭირის შესახებაც. იმაზე მეტს, რაც თვით ცხოვრებამ მცხოვრებლებს ამ სენის შესახებ განაცდევინა და დაანახვა, თუ რა შემაძრწუნებელი და გამანადგურებელი შედეგები აქვს ამ სენს, კალამი ვერ ასწერს.

როგორც ადამიანის ავადმყოფობა, ისევე საქონლისა დაიყოფება ორ რიგად: 1) უბრალო ავათმყოფობა—არა გადამდები და 2) გადასადები,

ინფექციური ავადმყოფობა; გადამდები ავადმყოფობა თავის თავად განიყოფება ორ ნაწილად: 1) სპორადიული, ესე იგი თვითეული—ხანგამოშვებითი მოვლენა და 2) მასიური—როდესაც ავად ხდება ერთბაშად და ხანგრძლივ მრავალი საქონელი და იხოცება იგი. აღნიშნულ მეორე კატეგორიის ავადმყოფობას ეკუთვნის საქონლის ჭირიც, რომელიც მუსრს ავლებს გლეხკაცობის სასოფლო-სამეურნეო სულდგმულ ინვენტარს.

საქონლის ჭირი არსებობდა, უეჭველია, ძველთაგან ძველ დროში, მხოლოთ მისი ნამდვილი ისტორია იწყება მეოთხე საუკუნიდან, როდესაც მოხდა დიდი გადასახლება ერებისა.

ამ დროიდან იწყება გავრცელება საქონლის ჭირისა დასავლეთ ევროპაში. ისტორიულად ცნობილია, რომ ყველა ომს თან დასდევს, როგორც ხალხის სატკივრები, ისე საქონლისაც. კერძოთ—საქონლის ჭირის სისწრაფით გავრცელებასაც ხელს უწყობდენ ომები. მეცხრე საუკუნეში, როდესაც მეფობდა დიდი კარლი, საქონლის ჭირი ელვასავით მოედო მთელ გერმანიას და დიდათ გაანადგურა საქონელი, მეცამეტე საუკუნის დასაწყისში მონღოლების მოსვლისთანავე შემოიჭრა საქონლის ჭირიც აღმოსავლეთ და სამუალო ევროპაში; მაგრამ ის, რაც მოახდინა საქონლის ჭირმა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში სულ მთლად ჰფარავს ხალხის მიერ განცდილ გაჭირვებას წარსულ საუკუნოებში. მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში საქონლის ჭირი გავრცელდა ტატარიიდან—დონის და ვოლგის მიდამოებიდან—მოსკოვზე, პოლშაზე, ვენგრიაზე, პრუსიაზე, ავსტრიაზე, სამხრეთ გერმანიაზე, შვეიცარიაზე, იტალიაზე, საფრანგეთზე, გოლანდიაზე, დანიაზე და ინგლისზე. სამის წლის განმავლობაში (1711—1714) დაიხოცა ერთმილიონ ნახევარი სული საქონელი. მეცნიერი **ბუნივა** იმოწმება, რომ 1726—1734 წ. წ. იმისთანა სასტიკი ჭირი გაჩნდა რომ ხალხი სულ მთლად უსაქონლოდ დარჩა, 1745 წლიდან ვიდრე 1752 წლამდე დაიხოცა ორი მილიონი სული საქონელი. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში გერმანიაში დაიხოცა ოცდა ათი მილიონი თავი საქონელი და სულ მთლად ევროპაში კი ორასი მილიონი სული საქონელი. ერთ წელიწადში რუსეთმა დაკარგა ჭირისაგან (1844—1845) ერთი მილიონი და შემდეგ ყოველ წლივ კარგავდა თითო მილიონ თავს საქონელს ვიდრე სულ მთლად არ განთავისუფლდა ამ სენისაგან. კავკასიაში 1900 წელს ჭირმა იმსხვერპლა მილიონზე მეტი თავი საქონელი და დღემდის ხან ერთ გუბერნიაში, ხან მეორეში—ყოველ წლივ იჟლიტება აუარებელი რიცხვი საქონლისა. გადაიტანეთ

ეს ციფრები ფულზე და აშკარად დაინახამთ—თუ რა უბედურებას წარმოადგენს ეს ჭირი და რა თავზარდამცემია იგი სოფლის ხალხისთვის, როდესაც იგი სოფლად შეიჭრება და ფეხს მოიკიდებს. ჭირის ასეთმა ულმობელმა მსვლელობამ აიძულა დასავლეთი სახელმწიფოები საჭიროთ დაეარსებინათ ვეტერინალური უმაღლესი სკოლები, მხოლოთ რუსეთში კი ვეტერინალური ინსტიტუტები. უსაშინელესი და უსასტიკესი თვისება ამ სენისა ჩვენს და საზოგადოთ კავკასიის ერებსაც კარგათ ჰქონიათ გათვალისწინებული, როდესაც ამ სენისთვის შესაფერი სახელი გამოუძებნიათ. მაგალითად, თათრები ამ სენს უწოდებენ „მალხასტა“, მხოლოდ ქართველები „საქონლის ჭირს“, ეს ზოგადი სიტყვები უსაფუძლოდ არ არის მათგან მოგონილი.

ამ სიტყვებით, როგორც ქართველნი, ისე მუსულმანები, აღნიშნავდენ დიდს ტანჯვას საქონლისას ამ სატკივრისაგან, ანუ მეცნიერულად რომ ვსთქმათ „სინტეზს“, ანუ კრებულს ყოველივე საშინელი საქონლის ავადმყოფობისას და ეს ასეც არის ნამდვილად. საველერინარო მეცნიერებაში არის ერთი ნაწილი, რომელსაც უწოდებენ „დიფერენციალურ დიაგნოსტიკა“-ს, ესე იგი დაყოფითი ანუ შედარებითი გამოცნობა საქონლის სატკივრებისა; ამ მეცნიერების მიხედვით და ჭირისაგან დახოცილი საქონლის გაჭრის შემდეგ აღმოჩენილ სურათით აშკარად მტკიცდება ის გონივრული მოსაზრება ხალხისა, როცა იგი საქონლის სატკივარს უწოდებს ზოგად სახელს „საქონლის ჭირს“ და მართლაც—როდესაც ჭირით ავადმყოფ საქონელს დააკვირდებით და გაჭრის შემდეგ შიგნეულობას გაშინჯავთ თვალწინ წამოგიდგებათ სურათი არა ერთი სატკივრისა, არამედ მრავალი და მასთან სასტიკი სატკივრებისა. მაგალითად: მძიმე თვისების თავის ტკივილისა (ცეცხლი თავში), თურქულისა, სისხლით ფაღარათობისა, მიკოტიური ანთება ნაწლევებისა, საწამლავისაგან მოწამლულისა, ციმბირის ჭირისა (сибирская язва), ფილტვების ანთებისა, ცოფისა და შესაყარ წითელი, შარდისა.

ასეთ საშინელ სურათს წარმოადგენს საქონლის ჭირი. რით აიხსნება სწრაფი გავრცელება საქონლის ჭირისა? ის მიზეზი, რომელიც ჰბადებს ამ სატკივარს, ესე იგი „კონ-ტაგი“ ან „ბაკილა“, ჯერ-ჯერობით მეცნიერებამ ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ის კი დაამტკიცა, რომ იგი ბუდობს საქონლის განავალში, შარდში, ნერწყვში, ცრემლში, რძეში, ოფლში, ხორცში, საქონლის ბალანზე და ყველა ადგილას საქონლის სხეულში. გარდა იმისა, რომ საქონლის ჭირი გადადის ავადმყოფი საქონლიდან სალ საქონელზე ჰაერით იგი სხვა საშუალებებითაც გადააქვთ

საღ საქონელზე, მაგალითად: ნეხვითა, თივითა; სიმინდის ფუჩეჩითა, ბზითა, ტყავებითა, მატყლითა, ხორცითა, ტანისამოსითა, ვაგონებითა, გემებითა; ამ სატკივარს ავრცელებენ აგრეთვე: ყასბები, ჩოდრები ან საქონლით მოვაჭრენი, ძაღლები, ცხვრები, ღორები, ფრინველები და სხვა. აღწერილი სურათის წამკითხველი დამეთანხმება, რომ ის გულგრილობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ხალხში სრულებით არ შეეფერება იმ სისასტიკეს, რომელიც თან სდევს საქონლის ჭირს; მაშ როგორ და რა საშუალებებით დავიცვათ თავი შინ და გარეთ საქონლის ჭირის დროს? ამ კითხვის პასუხს გვაძლევს ვეტერინარული პრაქტიკა და მეცნიერება.

საქონლის ჭიროან ბრძოლის საშუალებანი განიყოფებიან სამ კატეგორიად: პირველს ეკუთვნიან ის საშუალებანი, რომელნიც ხელს უწყობენ საჩქაროდ და თავის დროზე სენის აღმოჩენას; მეორეს -ეკუთვნიან საშუალებანი, რომელნიც მიზნად ისახავენ სენის ,,ლოკალიზაციას'' და მის ძირიანად აღმოფხვნას; მესამეს— ეკუთვნიან ის საშვალებანი, რომელნიც შეუძლებლად ხდიან საქონლის ჭირის შემოტანას სხვა მეზობელ სახელმწიფოებიდან და აგრეთვე ჭირიან სოფლიდან საღ სოფელში. პირველ რიგის საშუალებებს შეადგენენ: 1) საქონლის პატრონის მიერ აუცილებლად თავის დროზე განცხადება ავად გამხდარ საქონლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რა ხასიათის და თვისების სატკივრით გაუხდა მას ავად პირუტყვი: ეს საშვალება, რასაკვირველია, მაშინ განხორციელდება ცხოვრებაში, თუ რომ პატრონი დარწმუნებული იქნება იმაში, რომ მისგან იძულებით ჩამორთმეული საქონელი, აენაზღაურება შესაფერი სასყიდლის მიცემით მაშინათვე, როცა ჭირთან ბრძოლას აწარმოებენ და არა რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ, როგორც წინეთ ხდებოდა და ხდება ეხლაც. მეორეს მხრით— თუ რომ საქონლის პატრონი არავითარ პასუხის გებაში არ იქნება მიცემული, თუ ვინიცობაა, მის განცხადების შემდეგ, ექიმმა საქონლის ჭირი ნამდვილად არ აღმოაჩინა: 2) ზედამხედველობა დასაკლავ საქონელზე. ამ საშუალების ფაქტიური განხორციელება შეიძლება მაშინ, როდესაც ,,სასაკლაოს საქმე'' განმტკიცებული და განსაზღვრული იქნება კერძოდ განსაკუთრებული კანონით და გარდაეცემა იგი საერობო და საქალაქო საზოგადო ამორჩეულს დაწესებულებებს, ვინაიდგან ,,სასაკლაოები'', როგორც წმინდა ვეტერინალურ-სანიტარული დაწესებულება, ისახავენ მიზნად ხალხის ჯანმრთელობას და საქონლის გადამდებ სენის აღმოჩენას და მის აღმოფხვრას. ამის და მიუხედავად, სოფლად ხელოვნური და მიზანშე-

წონილი სასაკლაოს ორგანიზაციის დასაარსებლად საჭიროა გადაეცეს სრული უფლება სასაკლაოების გახსნისა და მათი ექსპლოატაციისა ეროვნებს ანდა მათზე უფრო წვრილ საზოგადო—ამორჩეულ ერთეულებს და არა კერძო პირებს ან ორგანიზაციებს.

რომ თავიდან აცილებულ იქნას სასაკლაოების ერთგვარ შემოსავლის სახსრად გადაქცევა—საჭიროა შეიზღუდოს სასაკლაოების შემოსავალი განსაზღვრული კანონიერი სარგებლით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სასაკლაოების განვითარებას და მათ სასურველ მოწყობილობას მომავალში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მთელი შემოსავალი სასაკლაოებისა ექსპლოატაციისაგან, გადადებულ იყოს მათივე საჭიროებისათვის და ვეტერინარულ-სანიტარულ მოქმედების გასაფართოვებლად.

პირველ კატეგორიის მესამე საშუალებას საქონლის ჭირის წინააღმდეგ შეადგენს ვეტერინალურ—სანიტარული ზედამხედველობა ცხოველების სასაფლაოზე საზოგადოდ და საქონლის სასაფლაოზედ კერძოდ.

ეს საშუალება რაციონალურად და მიზან შეწონილად ჩაითვლება მაშინ, როდესაც სასაფლაოზე მოტანილი თვითეული მკვდარი ცხოველი იქნება გაჭრილი და გაშინჯული ვეტერინარ ექიმების მიერ.

რუსეთის მრავალ ქალაქებში ცხოველების სასაფლაოები ემსახურებიან ქალაქის მუნიციპალიტეტის ინტერესებს. ამ ადგილების მახლობლად საპნის და ტყავეულობის ქარხნებს აშენებენ. თუ არა ვსცდებით, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის მუხიციპალიტეტები და ეროვნები ამ აზრამდე ჯერ არ მისულან; მაგრამ საჭიროა ახლა მაინც შეუდგენ ამ საქმეს საზოგადო და ვეტერინალურ სანიტარიის დასაცველად მაინც, თუ სარგებლობისთვის არა. 4) პირუტყვების ბაზრები და სავაჭრო სადგურები (торговыя площадки). გამრავლება ბაზრებისა სასურველია, როგორც სავეტერინარო—სანიტარული თვალსაზრისით, ისე ეკონომიურის მხრივათაც. როდესაც ბაზრები იქნება გახსნილი მრავალ ალაგას, მაშინ პირუტყვების ყიდვა-გაყიდვა მიჩნეული იქნება ერთს თვითეულ განსაზღვრულ ადგილას, ვინაიდან 1) საქონლის მრეწველობისათვის უფრო ხელსაყრელია შეისყიდოს ერთბაშად დიდი ნახირი საქონლისა თვითონ და არ დაჰკარგოს დრო სოფლიდან სოფელში სიარულით და აიცდინოს ჩარჩების ხარჯები; 2) ამ შემთხვევაში თვით სოფლის მცხოვრებს შეუძლია უფრო ღირსეულ ფასებში გაყიდოს თავის საქონელი, რადგან ფასები დიდი იქნება, ვინაიდან დიდი საქონლით მრეწველები, რომელნიც სოფელ-სოფელ

ვაჭრობის დროს იძულებულნი არიან დაიქირაონ მოშუამავლე პირები (ჩარჩები), განსაკუთრებულ ბაზარზე თვით, პირადად შეეძლებათ იყიდონ საქონელი პირველი ხელიდან და ამით კი ხელსაყრელი პირობები შეიქნება სოფლის გლეხკაცობისათვის.

როდესაც აღებ-მიცემობის მიზნით საქონელი იკრიბება ერთს განსაზღვრულ ადგილას (ბაზარზე), მაშინ, როგორც ზევით ვსთქვით, ადვილდება ვეტერინალურ-სანიტარული ზედამხედველობა და ამ რიგად შეძლება ეძლევა ექიმს თავის დროზე აღმოაჩინოს გადამდები საქონლის სნეულებანი საზოგადოთ და საქონლის ჭირი კერძოთ, ვინაიდან ცნობილია, რომ „ბაზრები“ თამაშობენ დიდ გამომწურავ (фильтръ) როლს, ამის გარდა „ბაზრები“ ხელს უწყობენ სავაჭრო მისვლა-მოსვლას მცხოვრებთა შორის და ამასთანავე უადვილებენ ხალხს გაანაღდონ თავის მეურნეობის ნაშრომი და ნაცვლად შეიძინონ სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო და ოჯახის საჭიროების საგნები.

ასეთი თუ ისეთი სახე „ბაზრებისა“ ან „სავაჭრო სადგურებისა“ პირდაპირ დაკავშირებულია ბაზრის ვაჭრობის ბორბალზე. ამ რიგად— გუბერნიებში არსებული ბაზრები უნდა გ იყოს სამ ნაწილად: 1) ბაზრები, სადაც იყიდება 200 მეტი სული საქონელი; 2) ბაზრები—სადაც იყიდება ორასამდე და 3) ბაზრები, სადაც იყიდება ორმოცდა ათამდე სული საქონელი.

პირველი სახის ბაზარზე სავაჭრო ადგილი უნდა იყოს მოწყობილი ამნაირად: განცალკავებულ ალაგას უნდა აშენდეს მაგრა შემოფარგლული ბაკი; შიგ ბაკში უნდა იყოს გრძელი გაბმული ბაგა ან საბმური არა ნაკლებ სამას სულზე; ბაკს უნდა ჰქონდეს შესავალი და გასავალი ალაყაფის კარი. შესავლელ კართან უნდა იყოს სადგომი ოთახი ვეტერინალურ ექიმისთვის და პირუტყვ-მრეწველთათვის; ამ უმთავრეს ბაკის მახლობლად უნდა იყოს მეორე მჭიდრო შემოფარგლული ბაკი, საერთო ნახირიდან გამორჩეული აშკარა და საეჭვო ავადმყოფ ცხოველებისათვის. აქაც უნდა იყოს საბმური, მხოლოდ გადახურული, ორასი სული საქონლისათვის; აქვე უნდა იყოს მათთვის გამართული წყალსასმელი. მეორე და მესამე სახის ბაზრის მოწყობილება უფრო მარტივად შენდება.

სასტიკი და ფხიზელი ვეტერინალურ-სანიტარული ზედამხედველობა სამრეწველო დასაკლავ და სასოფლო- სამეურნეო ნაზირ საქონელზე. ამ საშუალების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული დანიშნულების ნახირი უეჭველად იმოგზაურებს

მათთვის დანიშნულ საზღვაო, რკინის და შარა გზებზე. ასეთია მთლად ის საშუალებანი, რომელნიც მიზნად ისახავენ საქონლის სენის ანაზდათ და თავის დროზე აღმოჩენას.

მეორე კატეგორიის საშუალებანი, როგორც წინედ აღვნიშნეთ, მიზნად ისახავენ უკვე აღმოჩენილ საქონლის ჭირის „ლოკალიზაციას" და მის ძირიანად აღმოფხვნას. აღნიშნულ ხასიათის საშუალებებს შეადგენს: აშკარა და საეჭვო ავადმყოფ საქონლის დახოცვა, აბდა საქონლის შეერთებული აცრა (Комбикаціонныя прививки) ჭირიანი სისხლით და სითხით ერთსა და იმავე დროს. დახოცვა საქონლისა დღეს განდევნილია შეერთებული (конбинаціонныя) აცრით. ამისთანა აცრას მოსდევს თვალსაჩინო სარგებლობა; ჯერ ერთი ჭირი ისპობა ძრიელ მალე და მეორეს მხრთ—იქნება კონტინგენტი ცხოველებისა, რომელნიც დაზღვეულნი არიან ჭირის მხრით დიდის ხნის განმავლობაში. სწავლულების აზრით აცრა ამისთანა საქონელს ჰყოფნის შვიდწლამდე. ჩემის აზრით კი აღნიშული აცრით საქონელი დაზღვეულია ჭირის მხრივ სამუდამოდ, თუ კი აცრის შემდეგ საქონელი მართლა, აშკარა, და არა მარტო სიცხით, ავადგახდება და გამოიველის. ეჭვს გარეშეა — თვით მცხოვრებლებმაც, ნამეტურად ქუთაისის გუბერნიაში, შეიგნეს ამ აცრის ფასი და დიდათ დაჰპაპინებენ აცრილ საქონელს. როგორც ვიცით აცრილი საქონელი დღეს ღირს ძრიელ ძვირად. რაზეა დამოკიდებული „აცრის" კარგი შედეგები?

შეერთებული აცრის ნაყოფიერი შედეგები დამყარებულნი არიან ოთხს უმთავრეს პირობაზე: 1) ნადმვილს და ძლიერი თვისების (сильный вирусъ) ჭირიან სისხლზე, რომლითაც იცრება საქონელი (სხვა სატკივრის სისხლი არ უნდა ერიოს).

2) კარგის თვისების სითხეზე (сыворотка) რომლითაც სისხლთან ერთად უცრით საქონელს.

3) საქონლის ჯიშის განსაზღვრაზე და მის ცოცხალ წონაზე.
4) საღ საქონლის მომეტებულ რიცხვზე.

პირველი სამი პირობის შესრულება და პასუხის მგებლობა ვეტერინალურ ექიმს ვალდებულებას შეადგენს, მხოლოდ მეოთხე პირობის შესრულება თავს ადევთ თვით მცხოვრებლებს. თუ პატრონმა მალე შეატყობნა ექიმს ავადმყოფობის გაჩენა, რასაკვირველია ჭირი სათავეშივე იქნება დაჭერილი; ესე იგი, როდესაც იგი არ იქნება სოფელში გავრცელებული და ამისთანა შემთხვევაში კი რასაკვირველია, საღი საქონელი

მეტი აიცრება და, როგორც ასეთი, უფრო ადვილად გადიტანს აცრას ვიდრე ავადმყოფი საქონელი. თუ აღნიშნული პირობები შესრულებული იქნება, ყველა დარწმუნებული უნდა იყოს რომ ასს სულ საქონელზე—2—5 სულზე მეტი არ მოკვდება. ამის დასამტკიცებელი საბუთებს ბევრს შეხვდებით ქუთაისის გუბერნიაში, სადაც კი აცრეს საქონელი, თუ ზოგიერთ გამონაკლისი არ მივიღეთ სახეში. თავის თავად ცხადია რომ აცრის ნაყოფიერი შედეგები დამოკიდებულია თვით აცრილ საქონლის მოვლაზე და პატრონობაზედაც—ამაზე ვრცლად ვალაპარაკებთ შემდეგ, როცა შეუდგებით აცრის ზოგიერთა მოწინააღმდეგების აზრების გარჩევას აქ კი ვიტყვით საზოგადოდ, რომ იქ სადაც აცრის შემდეგ ბევრი საქონელი იხოცება, სხვადასხვა მიზეზებთან ერთად არა ნაკლებ როლს თამაშობს მოუვლელობა და უპატრონობა საქონლისა.

შეერთებული აცრის გარდა არის აცრა მარტო სითხით, უსისხლოთ. ამისთანა აცრით სასოფლო-სამეურნეო საქონელი სჯობს სრულებით არ აიცრას, ვინაიდან მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ამ აცრით შინიქებული დაზღვევა ისე მცირე ხნით განისაზღვრება (იმუნიტეტი), აქ რომ ამისთვის წვალება ხალხისა, საქონლისა და აცრასთან გადაბმული ხარჯების გაწევა არა ღირს; დაზღვევა ამ აცრით განისაზღვრება მარტოოდენ ათი დღით და მერე უეჭველად ისევ ავად გახდება, თუ ჭირიან საქონელში გაერია.

მესამე კატეგორიის საშუალებებს ჭირის წინაღმდეგ შეადგენენ, როგორც მკითხველს უკვე ვაუწყეთ, ის საშუალებანი, რომელნიც აფერხებენ საქონლის ჭირის შემოტანას სხვა მეზობელი სახელმწიფოებიდან და აგრეთვე ერთი ჭირიან სოფლიდან მეზობელ საღ სოფელში. ასეთ საშუალებათ ითვლებ, ე. წ. „კარანტინები“ (გზების შეკვრა) რომელნიც იმისდა მიხედვით თუ რა ხასიათისა არის სატრანზიტო და სატრანსპორტო დასაკლავ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნახირი, ყალიბდებიან სხვადასხვა ფორმაში. აღნიშნულ საშუალებებს ეკუთვნის აგრეთვე აცრა საქონლისა მთლად იმ სოფლებში, რომლებიც უცხო სახელმწიფო საზღვრებთან არსებობენ და ამ სახელმწიფო სოფლებთან სამეურნეო ან ეკონომიური დამოკიდებულობა და მისვლა მოსვლა აქვთ. საჭიროა აგრეთვე აცრა საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომთა იმ საქონლისა, რომელიც საზაფხულოთ „ეილაგებზე“ ირეკება სხვა სახელმწიფოში და შემოდგომით კი ბრუნდება უკანვე, რესპუბლიკის საზღვრებში. არ შეგვიძლიან მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ ერთს ფრიად მნიშვნელოვან საშუალებასაც—ეს არის დეზინფექცია ცხოველების ნედლი მასალისა

(ტყავეულობა, მატყლეულობა, ძვლები და სხვა), რომელიც შემოაქვთ საზღვარ გარეთიდან და გადააქვთ-გადმოაქვთ ქალაქიდან ქალაქებში რესპუბლიკის შიგნით. დეზინფექცია ანუ ბაცილების და ბაქტერიების დახოცვა ხდება ესრედ წოდებულ "парафармалиновыхъ камерахъ"; სადაც ამისთანა კამერები არ მოიპოვება, იქ კმაყოფილდებიან ქიმიური საშუალებების და კერძოთ „სულემის" დეზინფექციით.

თუ როგორი პრაქტიკული ზომები უნდა იქნას საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ ამაზე შემდეგ ნომერში.

გრ. მამამთავრიშვილი.

აგრონომიული დახმარების მოწყობა თბილისის მაზრაში.

თბილისის მაზრაში აგრონომიულ დახმარებას აწარმოებს ამ ჟამათ სამაზრო ერობა, მიწათ-მოქმედების სამინისტრო და ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება. მე შევეხები მარტო ერობის მოქმედების ან უკეთ რომ კსთქვათ ერობის აგრონომიულ განყოფილების მოქმედებას, რომელსაც უკვე ერთი წლის ისტორია აქვს. საზოგადოთ, აგრონომიულ დახმარების მოწყობა მეტათ რთული საკითხია და ცხადია, ჩვენს პირობებში შეუძლებელი იყო ერთ წელიწადში ეს დახმარება მოწყობილიყო ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს. რუსეთის ერობებშიაც კი, სადაც ამ საქმეს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ, აუარებელ ფულს ხარჯავდნენ და სადაც საერობო აგრონომია რამდენიმე ათეული წელიწადი მუშაობს, იქაც კი ეს საქმე ჯეროვანათ არ იყო მოწყობილი და აუარებელი დეფექტები სდევდა თან. ეს მოვლენა სხვა მიზეზების გარდა აიხსნება საქმის სირთულითაც. მართლაც, აგრონომიული დახმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს მკვიდრ ნიადაგზე, როცა მომქმედ აგრონომიულ პერსონალს აქვს შეძლება მისცეს ხალხს Max-ი ცოდნა სხვა და სხვა სამეურნეო დარგებში. და ეს კი მოხერხდება მაშინ, თუ თვით პერსონალი მომზადებულია საქმისთვის და ერობას კი-

დევ შესწევს ძალა შესაფერისი თანხების გადადებისთვის. მაგრამ არის ერთი გარემოებაც, რომელიც მეტათ ართულებს საკითხს. თუ გვინდა რომ აგრონომის მუშაობა ნაყოფიერი იყოს, მას უნდა ჰქონდეს ხელში მეცნიერული გამოკვლევა თავის რაიონისა—ჰავის, ნიადაგის და ეკონომიურ პირობების მხრივ. აღნიშნული გამოკვლევანი უნდა აწარმოოს მეცნიერთა და სპეციალისტთა კოლეგიამ სახელმწიფოს ხარჯზე (მიწათმოქმედების სამინისტრომ) და ეს გამოკვლევანი უნდა დაედოს საფუძვლათ აგრონომის პრაქტიკულ მუშაობას, ჩვენ არამც თუ ასეთი გამოკვლევანი არ მოგეპოვება ჩვენი მაზრისა, ჯერაც არ არსებობს ჩვენი სამშობლოს მეცნიერულათ დასაბუთებული დაყოფვა სასოფლო-სამეურნეო რაიონებათ, ვიდრე ეს ესე იქნება, აგრონომიულ პერსონალის მუშაობა ნაკლებ ნაყოფიერი იქნება და უნებლივ შეცდომების მატარებელი.

ზემოთ მოყვანილ პირობებში მოუხდა მუშაობა აგრონომიულ პერსონალს თბილისის მაზრაში. პირველი წლის მუშაობას ჰქონდა ორგანიზაციული ხასიათი და ასეთივეა დღესაც. რათა უკეთ გავითვალისწინოთ, თუ როგორ მოეწყო აგრონომიული დახმარება თბილის. მაზრაში, ჩვენ შევეხებით ერობის აგრონომიულ განყოფილების მოქმედებას ერთი წლის განმავლობაში. 1919 წ. თებერვალში მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობამ დაამტკიცა აგრონ. განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა და მომავალი მუშაობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მთელი მაზრა გაიყო თავის პირობების სხვა და სხვაობის მიხედვით (ნიადაგი, ჰავა, ეკონომიური პირობები, რაიონის სივრცე და სხ.) სამ რაიონათ: 1) თბილისის, გარე-უბნის და ახურეთის, 2) გარე-კახეთის და 3) მანგლისის რაიონი; ყოველ რაიონისთვის უნდა მოწვეულ იქმნას აგრონომიული პერსონალი:—მთელი პასუხის-მგებლობა აგრონომიულ დახმარების მოწყობაში და დასახულ გეგმის განხორციელებაში ეკისრება რაიონის აგრონომს, რომელსაც აქვს კავშირი მაზრის აგრონ. განყოფილებასთან. იმისდა მიხედვით, თუ რომელი დარგი მეურნეობისა სჭარბობს რაიონში სხვა დარგებს, რაიონის აგრონომი იწვევს ამ უმთავრესი დარგის სპეციალისტ-ინსტრუქტორს. ეს უკანასკნელი ითვლება აგრონომის თანაშემწეთ. ყოველ რაიონში იმართება ორი სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები და თითო პუნქტს ჰყავს თავისი გამგე. ამნაირათ მომუშავე აგრონომიულ პერსონალს შეადგენს პირველ წელიწადს თითო რაიონში ოთხი კაცი: აგრონომი, ინსტრუქტორი და პუნქტების ორი გამგე. ეს არის აუცილებელი პერსონალი, რომელსაც რომელიმე რაიონში ემატება სანერგეების გამგენი. აქ მოკლეთ მოვიყვან ცნობათ

რამდენი იყო გადადებული თანხა ეროვნების მიერ აგრონომიულ დახმარებისთვის მაზრაში წარსულ წელს. ხმოსანთა ყრილობამ 1919 წ. თებერვალში დაამტკიცა აგრონ. განყოფილების მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც აჩვენებდა გასავალს 545.180 მან. და შემოსავალს 47.000 მან. მაგრამ წლის განმავლობაში სიძვირის გამო განყოფილებამ ორჯელ მოითხოვა დამატებითი კრედიტები, რაც მიღებულ იქნა - პირველათ დეკემბერში 207.000 მ. და მეორეთ თებერვალში 235.000 მ.—ამ რიგათ მთელი გასავალი ულრის—1.037.180 მანეთს. რათა დავასურათოთ განყოფილების მუშაობა აგრონ. დახმარების მოწყობაში აქვე მოვიყვანთ მუხლობრივ იმ ხარჯებს, რომელსაც იგი ითხოვდა 1919 წ.

მუხლი I. პერსონალის ჯამაგერები, გზის ხარჯი და დღიური (განყოფ. გამგე, 2 რაიონის აგრონომი, 3 რაიონის ინსტრუქტორი და 1 საქმ. მწარმოებელი) 236.400 მან.

მუხლი II. აგრონომიულ კაბინეტების შენახვა და მოწყობა ორ ადგილას—22.200 მ.

მუხლი III. საჩვენებელი მინდვრები თითო რაიონში 2 ადგილას თითო დესეტინა 3.200 მ. მთელ მაზრაში—19.200 მან.

მუხლი IV. ხეხილის სანერგე ბალბიანში ა) ერთ დროული ხარჯები—33.700 მ. ბ) ყოველ წლიური —26.800 მ. სულ 60.500 მ.

მუხლი V. კატა-ბალახის სანერგე წავკისში—მიწის იჯარა, მუშაობა და სხ.—23.750 მ. მუხლი VI სამეურნეო მანქანების გასაქირავ. პუნქტები ა) შენახვა(6 ადგილას)—17.800. მ. ბ) მანქანების შეძენა —43.200ძ. სულ—141.000 მ.

მუხლი VII. ბალ-ვენახობის წამლობა. ა) იარაღების შეძენა—6625 მ. ბ) წამლეულობის შეძენა—2475 მ. სულ—9.100 მ.

მუხლი VIII. საქონლის გაუმჯობესობა (ბუღების ყიდვა და სადემონსტრ აციო მასალა)—50.000 მ.

მუხლი IX. სხვა და სხვა ხარჯები (დახმარება მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, სამეურნეო ჟურნალს აგრონომ. ყრილობის ხარჯები და სხ). 20.000 მ.

მუხლი X. ნიადაგის გამოკვლევა—100.000.

მუხლი XI. სამეურნეო ლექციები, კურსები და სხ. 3.000 მ.

შემოსავალი. სანერგიდან (ბოსტანი), გასაქირ. პუნქტებიდან, სახელოსნოებიდან და სხ.—47.000 მ.

შემდეგ ნომერში გადავალთ აგრ. განყოფილების და პერსონალის მუშაობაზე წარსულ წელში.

ი. ქურდიანი.

თფილისის გარე უბნის თემი

(კორესპონდენცია).

გარე უბნის თემი მოეწყო გასული წლის ავგისტოში. თემში შედის 4 საზოგადოება 37 სოფელი. უპირველესათ ყოველისა თემი შეუდგა ადმინისტრაციის რეორგანიზაციას, და კანცელარიების მოწყობას. ყველა საზოგადოებებში მოხდა ყრილობები, სადაც ირჩევდნენ კომისრებს. როცა თემის გამგეობა გაეცნო ადგილობრივ საქმეებს, აღმოჩნდა რომ, ანარქიის ნასახი კიდევ დარჩომილიყო და კომისრებათ, ირჩევდნენ არა სასურველ პირებს, ამ შემთხვევაში გამგეობა ღროებით ნიშნავდა ისეთ პირებს, რომლებიც მისთვის სასურველი იყო. თემის მიერ კომისრების დანიშვნას არავითარი უკმაყოფილება არ მოჰყოლია, პირიქით, უმრავლესობა ამის მომხრე გახდა. რაც შეეხება მათ ჯამაგირებს, სამაზრო ერობა იძლეოდა ისეთ მცირედს რომ ამ ჯამაგირებით შეუძლებელი იყო ღირსეული პირების გამოძებნა. შექმნილ მდგომარეობით რომ არ შეფერხებულიყო თემის მუშაობა იგი—ძალა უნებურათ იძულებული გახდა მოემატებინა მათთვის ჯამაგირები, თავის მხრივ. ამით თემს მიეცა საშვალება თავის სიმაღლეზე დაეყენებინა ადმინისტრაციის საქმე.

ამის გამო იყო რომ ყაჩაღობა და ქურდობა შემცირდა. ასე, სანამ თემი მოეწყობოდა რაიონში ხდებოდა არა ნაკლებ 4-7 მკლელობისა თვეში 13-17 ყაჩაღობა და წვრილმანი ქურდობა აღწევდა 46-მდის. თემის მოწყობის შემდეგ 1-ლი ენკენისთვიდან იანვრამდის მოხდა მხოლოთ 2 მკვლელობა და დამნაშავენიც აღმოჩენილი იქნენ. 3 ჯელ მოხდა ყაჩაღობა (ორი აღმოჩენილ იქმნა). და ქურდობა თითქმის სრულიად მოისპო. ამასთანავე მოეწყო თემის საქმის წარმოება. რაიონის მილიციის უფროსი თემის მინდობილობის დაუყონებლივ ასრულებას და შეთანხმებით მუშაობას აწარმოებს თემსა და სამაზრო ერობის შორის.

დეზერტირების წინააღმდეგ ენერგიული ზომები იქნა მიღებული. სამწუხაროდ ისინი თბილისიდან მეორე დღესვე ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თემის გამგეობის წევრს.

თემმა ყველა საზოგადოებებში მოაწყო აგრარული კომისიები და რამდენათაც შესაძლებელი იყო, ხელს უწყობდა მათ საქმიანობას, მაგრამ თემის ცდა ამ შემთხვევაში უნაყოფოთ რჩებოდა, რადგან მდივანი და მიწის მზომელი სარგებლობდენ რაიმ გარემოებით, რომ იგინი სამინისტროს მიერ იყვენ დანიშნულნი, ანგარიშს არ უწევდნენთემს. როცა თემის წარმომადგენელი შეეკითხებოდა მდივანს ან მიწის მზომელს თუ რატომ არ არის იგი თავის ადგილზე და არ მუშაობს, იგი უპასუხებდა: სამაზრო ერობამ დამიბარაო თუ სამაზროდან შეეკითხებოდენ: სამინისტრომ დამიბარაო და სხ. ამ გარემოებამ დიდათ შეაფერხა აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარება. თემი აძლევდა მათ ბინას, გათბობას და განათებას.

კომისიის წევრებისთვის ჯამაგირი, სამინისტროს დადგენილების თანახმათ, თვით საზოგადოებას უნდა მიეცა. მათი უნაყოფო მუშაობის გამო სოფლებმა უარი განაცხადეს ჯამაგირების მიცემაზე და სულ რომ არ შეფერხებულიყო მათი მუშაობა თემი იძულებული გახდა გაეღო თავის სალაროდგან 24700 მ. რაც დღესაც აუკრეფელია. სასურველია რომ იმ დეფექტებს, რომელსაც ქონდა ადგილი წასრულში აღარ განმეორდეს მომავალში, საჭიროა თემს ქონდეს უფლება გაუწიოს კონტროლი მათ მუშაობას და მიიღოს უახლოესი მონაწილეობა მიწების სამართლიან განაწილებაში. თუ დროზედ არ განაწილდა მიწები, სხვა და სხვა გვარ პროვოკაციის საშვალებით, მოსალოდნელია ხალხში არა სასურველ მოვლენას ქონდეს ადგილი.

მწვავეთ დგას ტყის საკითხი. სოფელს უნდა მისცემოდა თავის ტყე. გლეხები თხოულობდენ ცალ-ცალკე მისცემოდა მისთვის საჭირო შეშა. ტყის გამგე კი მოითხოვდა, რომ მთელ სოფელს ერთათ შეეგროვებინა ბილეთის ფული და ერთად აეღოთ. ეს კი შეუძლებელი იყო. რადგან ზოგს ისეთი საქმე ჰქონდა რომ ტყისთვის არ სცალოდა და ზოგს იმ დროსთვის ფული არ მოეპოვებოდა. შემდეგ მოვიდა სამინისტროდგან ცნობა, რომ ტყე უნდა განაწილებულიყო ერობის შემწეობით. სანამ ფული შეგროვდებოდა ზამთარმა მოატანა და ამნაირათ სოფლები უშეშოთ დარჩა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში. სასურველია რომ მომავლიდგან მთელი ტყე, რომელიც უნდა გაუნაწილდეს სოფელს, გადაეცეს თემს, რომელიც მას გაანაწილებს სამართლიანათ. თემმა უნდა სასტიკი ყურადღება მიაქციოს ტყის დაცვას და იხსნას კი განადგურებისგან. ამასთან ერთად აუცილებელია რომ ტყის დამცველი ინიშნებოდეს არა ტყის გამგის სურვილით, არამედ საზოგადოებისგან,

რომლის მოქმედებასაც თვალ-ყურს ადევნებს თემი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ტყის განადგურება.

სამეურნეო დარგის მხრივ გარეუბნის თემში საკითხი მწვავეთ დგას. თემმა განიზრახა ყარაიაზის ველზე დაეთესნა 50 დესეტინა მიწა, რისთვისაც მიმართა სამინისტროს, მაგრამ უარი მიიღო, რადგან ამ ადგილის ნაწილს თვით სამინისტრო ამუშავებს და ნაწილს სახალხო გვარდია. შემდეგ თემმა განიზრახა იჯარით აეღო, თემის ფარგალში მოთავსებული საფონდო მამული დასამუშავებლათ, მაგრამ მუშა ხელის და თესლეულობის სიძვირის გამო ეს განძრახვაც არ იქნა შესრულებული. ამ ჟამათ თემი ამუშავებს მხოლოდ ერთ-ერთ საფონდო მამულს ზომით 5 დესატინას. ამ ადგილის ერთს დესეტინაზე თემს აქვს გაშენებული ხილი და ვაზის სანერგე.

ეს სანერგე მომავალში თემს აზრათ აქვს გააფართავოს და გახსნას პრაქტიკული სასწავლებელი. სასურველია, რომ თემს გადაეცეს ნაწილი იმ საფონდო მამულებისა, რომელნიც განაწილდება მცხოვრებთა შორის, რათა თემს მიეცეს საშუალება აწარმოოს კულტურული მეურნეობა.

სკოლის საკითხი თემში ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე. ამის მიზეზი ის არის, რომ სამაზრო ერობის მიერ სკოლების შესაკეთებლად გადადებული 400,000 მ. თემებისთვის, თემებმა ვერ მიიღეს, რადგან სამაზრო ერობამ ვერ შესძლო უსახსროობის გამო ამ თანხის გაღება. სამაგიეროთ თემებმა წინადადება მიიღეს, რათა თვით შესდგომოდენ სკოლების შეკეთებას და მოწყობას.

ცხადია თემი მცირე ხანში ვერ შესძლებდა დაკისრებული ვალდებულება შეესრულებინა და როცა ჩვენ შეუდექით შეკეთებას სოფლის ხარჯზე, ამან ვერ გამოიღო ვერაფერი ნაყოფი, ვინაიდან სოფელი უარს ამბობდა ხარჯებზე. თემი იძულებული გახდა ძალით მოეკრიფა სასკოლო ხარჯები და თვითონაც გაიღო თავის სალაროდან 37000 მ. რათა არ შეფერხებულიყო სწავლის საქმე. სკოლის საკითხის სისურველათ წაყვანისთვის საჭიროა, რომ სკოლების შეკეთება, გათბობა, განათება არ იყოს დავალებული სოფლებზე, არამედ თვით ერობამ იკისროს მისი ყოველგვარი ხარჯი. ამის გარდა თემს უნდა მიეცეს უფლება ყურადღება მიაქციოს მასწავლებლის მოქმედებას მის პედაგოგიურ მომზადებას, ვინაიდან სამაზრო ერობა დაშორებულია და ნაკლები საშვალება აქვს გაეცნოს მასწავლებლის მუშაობას. მასწავლებლები უნდა ინიშნებოდენ თემთან შეთანხმებით. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა თემმა გახსნა ექვსი სამკითხველო. ზამფხულისათვის თემს განზრახული აქვს მოაწყოს სოფლებში წარმოდგენები და ლექციები.

სოფლების გზების შესაკეთებლათ თემს გამოჰყავს ხალხი სამუშაოთ ბეგარის სახით და მუშაობას ხელმძღვანელობს სამაზრო ერობიდან გამოგზავნილი ტეხნიკი. ს. დიღომში მცხოვრებლები საშინელ გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო. ამისთვის თემს განზრახული აქვს გამოყვანოს არხი, რის განხორციელებას უკვე შეუდგა, რაც იწვევს 250000 მ. ხარჯს. ხარჯი გაეწერა სოფელს.

თემს აქვს ორი წისქვილი, მათი გაუმჯობესობა დამოკიდებულია არხის გამოყვანის საკითხთან. სურსათის მხრივ მდგომარეობა მეტად ცუდია. გასული წლის გაზაფხულზე დაისეტყვა 13 სოფელი. ჭირნახული სულ მთლათ განადგურდა. ხალხი საშინელ გაჭივრებას განიცდის; შიმშილობა იქამდის მიდის რომ ხალხი „კოპედონს“ (ჟმიხას) სჭამს, ყოველ დღე თემის კანცელარია გავსებულია მცხოვრებლებით, და ჰოითხოვენ პურს. მდგომარეობის რამდენათმე შესამსუბუქებლათ თემი თფილისში ყიდულობს ფუთობით ჭადს და პურს და ურიგებს მცხოვრებთ. სურსათს ოპერაციებს აწარმოებს თემი.

თემს აქვს სამი საწყობი და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს და მთელ თავის ყურადღებას აქცევს ამ საკითხს, მაგრამ უსახსრობა ხელს უშლის. უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება; როცა სამაზრო ერობა აძლევს თემებს რაიმე სურსათს, იგი ადებს განსაზღვრულ % %-ბს; თუ სურსათი გადაეცა კოოპერატივებს, იგინიც უმატებენ % %-ბს. დაბოლოს მომხმარებელი იხდის უფრო მეტს ვიდრე კერძო ვაჭართან. ასეთ მდგომარეობას უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს. თემის ყურადღება უნდა ნაკლებათ იქნეს მიქცეული ვაჭრობისკენ, ვინაიდან ეს აშორებს თემს მის ნამდვილ დანიშნულებას. ფინანსიური მხარის გამოსასწორებლად თემმა გააწერა სასმელ დუქნებს გადასახადი, (ნებართვის აღებისთვის) რამაც თემს მისცა 47000 მან. ამასთანავე თემმა აიღო ერობიდგან საბალახოები იჯარით. ამას გარდა შემოსავლის წყაროები იყო: ნებართვების გაყიდვა საქონელზე, ნისქვილებიდან; მიწის ერთდროულ გადასახადის 20 %; სანიტარულ გადასახადიდგან 20 %; თემის ბიუჯეტი აღწევს 1,4000,000 მან. საჭიროა დაჩქარებით გამორკვეულ იქმნას თემის ხაბიუჯეტო უფლება. საჭიროა გამაგრდეს თემის მდგომარეობა, უნდა ხელი შეეწყოს მის გაჯანსაღებას, თორემ „თუ სარძიკველი დანგრეულია მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

გ. კილასონია.

გადასახადების ახალი დაწესებულები.

ვინაიდან აღარ არსებობს გუბერნიები და საგუბერნიო სახაზინო პალატებიც გაუქმდენ, ფინანსთა სამინისტრო შეუდგა გადასახადების ახალ დაწესებულების შექმნას.

შემუშავებული პროექტის მიხედვით, ეს რეფორმა შემდეგი სახით გამოიხატება:

1) ყოფილ განსაკუთრებულ საგუბერნიო პირდაპირი გადასახადის საკრებულოს მაგიერ, შესდგება გადასახადთა ცენტრალი საკრებულო, რომელშიც შევლენ: დაინტერესებულ უწყებათა და თვითმმართველობათა ე. ი. ერობათა და ქალაქების წარმომადგენლები, როგორც მუდმივი შემადგენლობა, და გადამხდელთა წარმომადგენლები, როგორც დროებითი შემადგენლობა. უკანასკნელნი მოწვეულ იქნებიან იმ სხდომაზე, რომელზედაც მსჯელობა იქნება იმ გადასახადის შესახებ, რა დარგსაც ისინი წარმოადგენენ. გადამხდელთა წარმომადგენლები ინიშნებიან ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლების მიერ, სავაჭრო-სამრეწველო და სატარიფო პალატების მიერ და პროფესიონალ კავშირიდან.

ცენტრალ საკრებულოს საქმის წარმოება მოეწყობა გადასახადთა სამმართველოსთან.

2) გადასახადთა ცენტრალ საკრებულოს გარდა, რომელიც საგუბერნიო საკრებულოს მაგიერ იქნება, განზრახულია შესდგეს კიდევ ერთი დაწესებულება დამატებითი სამრეწველო გადასახადისა, რომელმაც ყოფილ სახაზინო პალატის საკრებულოს მაგიერობა უნდა გასწიოს. აქ დაესწრებიან ხოლმე გადამხდელთა წარმომადგენლები. ეს დაწესებულება მოეწყობა აგრეთვე გადასახადთა სამმართველოსთან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული უწყებანი, ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლები და გადამხდელები.

ამ დაწესებულების მიზანია გააწესრიგოს სავაჭრო-სამრეწველო წარმოებანი, გაანაწილოს გადასახადი, თანახმად საშუალო მოგების პროცენტისა.

განზრახული რეფორმა კარგა ხანია მომწიფდა და უნდა ვისურვოთ, მალე განხორციელდეს.

ვლ.

ეროგათა ცხოვრება.

ეროგათა კავშირის კომიტეტში.

— **ეროგათა კავშირმა შემდეგი მიმართვა დაუგზავნა ყველა სამაზრო ერობის გამგეობებს:**

ქართველი ხალხის წინაშე კვლავ დაისვა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ყოფნა არ ყოფნისა. გაბოროტებული ელემენტები ლამობენ წალეკონ რევოლიუციით მონაპოვარი ბედნიერებანი და დაამყარონ ის წესი, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ფარფაშობას. კვლავ ლამობენ ხალხს ახადონ სისხლით მოპოვებული უფლებანი და გახადონ ის მონათ და ბრმა იარაღათ რამოდენიმე პიროვნებისა. ეჭვს გარეშეა დიდ ხანს ვერ გასტანს ამ პირთა მოქმედება და ბატონობა, მაგრამ ეს მათ არ აფიქრებს; მათთვის საჭიროა მხოლოდ არევ-დარევის გამოწვევა დანგრევის პროცესი, რომ არეულობით ისარგებლონ და ხელი მოითბონ.

მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ახერხებენ მოქმედებას და ამ უკანასკნელ დღეებშიც ბაქოშიაც კი შევიდნენ, ვითომც მუსულმანთა ხალხის საბედნიეროთ.

საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია და მთავრობა თავიდანვე წინააღმდეგი იყო ამ ჯგუფის მავნე და დამღუპველი მოქმედებისა და ეხლაც, რასაკვირველია ამ არზრისაა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები შეეცდებიან ჩვენ ხალხში გაავრცელონ თავისი ბოროტი მოსაზრებანი და დაუყონებლივ საჭიროა სათანადო ზომების მიღება ამ სენის თავიდან ასაცილებლად. მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია და იწვევს ყველას ვისაც გული შესტკივა საქართველოს დამოუკიდებლობის და მოპოვებულ უფლებისადმი.

ეროგათა კავშირის კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ ეროგები გულმხურვალეთ შეუდგებიან თავის წმინდა მოვალეობის შესრულებას და დაუმტკიცებენ ქვეყანას, თუ რა ძალას წარმოადგენს ქართველი ხალხი იმათწინააღმდეგ, ვისაც განუძრახავს საქართველოს რესპუბილკის დამოუკიდებლობის გაუქმება და ქართველთა თათრებისთვის დამონება. **დაუყონებლივ საჭიროა ზომები იქნეს მიღებული, რათა მობილიზაცია მწყობრათ, სწრაფათ და სავსებით გატარდეს.**

თემებმა საჩქაროთ უნდა მოაგვაროონ მობილიზაციით გაწვეულების ოჯახის მეურნეობა და ხელი შეუწყონ მათი ყანა-მინდვრებისა და ბაღ-ვენახების დამუშავებას, ეს უნდა იდგას თვით ხალხმა, რათა ამ სახით რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა თავ დაცვის საქმეში.

ბევრი მწარე დღეები სწვევია საქართველოს, ბევრი გაჭირვება განუცდია მას, მაგრამ თავისი სახე მაინც შეუნარჩუნებია; ეხლაც დაიცავს ის თავის თავისუფლებას და ერობები ჩაუდგებიან სათავეში ამ დიდ და საშვილისშვილო საქმეს.

— ერობათა კავშირის კომიტეტის მიერ 30 მარტს მოწვეული იყო ერობათა წარმომადგენლების თათბირი, თათბირმა იქონია მსჯელობა, თუ რა მიწები უნდა გადაეცეს ერობებს ჩამორთმეულ მიწებიდან კულტურულ წარმოებისთვის. ამის გარდა თათბირმა დაადგინა მიემართოს საფანადო სამინისტროებს ერობათა ფინანსიურ და სურსათის მდგომარეობის შესახებ და აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სამხედრო საავადმყოფოების ერობებზე გადაცემის შესახებ.

უკანასკნელი კითხვის გამო ერობათა კავშირის კომიტეტმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს და აღნიშნა, რომ არის ადგილები, სადაც სამხედრო საავათმყოფონი არ მოქმედებენ და ჯარის კაცთა და გვარდიელთა მოვლა—ექიმობა ერობებს აწვება თავზე და საზოგადოთ ავათმყოფ სამხედრო პირთა რიცხვი ბევრათ მეტია იმაზე, რაც ხარჯთ-აღრიცხვითაა გათვალისწინებული, რის გამო ერობებს უხდებათ ზედ-მეტი ხარჯების გაწევა. ამ გარემოების გამო ერობანი იძულებული არიან აღძრან სათანადო შუამდგომლობა, რათა კრედიტები გადასაცემ საავათმყოფოთა ხარჯების დასაფარავად გადიდებულ იქნან. ამის გარდა ერობა ეხმარება გვარდიელებსაც, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში ნავარაუდევი არ არის, რისთვისაც საჭიროა ნავარაუდევი კრედიტები გადიდებულ იქნას ერთი ორად.

ერობათა კავშირის ვომიტეტი მიმართავს რა შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვს რათა მან იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა 1) დაუყონებლივ გადაეცეს ერობის და ქალაქის თვითმართველობას სამხედრო საავადმყოფოები თავის ინვენტარით და კრედიტით 2) აგრეთვე დაუყონებლივ გადაეცეს თვითმართველობას სამხედრო საწყობები წამლებისა, 3) დაარსებულ იქნას საგანგებო კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროს, ერობათა და ქალაქების კავშირთა წარმომადგენლებისა-

გან იმის გამოსარკვევად, თუ რომელი სამხედრო საავათმყოფო გადაეცეს საგანგებოდ ერობას ან ქალაქს და რომელი საერთოდ ერობას და ქალაქსაც და 4) არსებული კრედიტები სამხედრო საავათმყოფოების შესანახად გადიდებულ იქნან ორას ხუთას საწოლის კვალობაზე, ე. ი. ერთი ორად.

ამავე თათბირზე გამოტანილ დადგენილების მიხედვით ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, ერობათა კავშირის კომიტეტმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს რათა მან აღძრას სათანადო შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა 1) სამაზრო ერობებს გადაეცეს სავსებით მიწის გადასახადი, 2) სამაზრო ერობათა სასარგებლოთ დაწესდეს გადასახადი მთავრობის ყველა იმ საწარამოო დაწესებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან მაზრის ფარგლებში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციასთან; რაოდენობა ამ გადასახადისა არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემოსავლის 10%, 2) გაყიდულ მიწების შემოსულ თანხიდან, ერობათა სასარგებლოთ გადაიდოს 40%; ამ წყაროდან შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ მაზრის ეკონომიურ აღორძინებას, 4) ვინაიდან ზემო აღნიშნული გადასახადების აკრეფა შეგვიანდება და ერობებს ეხლავე ესაჭიროება თანხები თავის მოქმედების გასახორციელებლათ, მიეცეს მათ სესხის სახით აღნიშნული მიწის გადასახადების გარანტიის ქვეშ ასი მილიონი მანეთი და 5) დაუყონებლივ გატარებულ იქნას სათანადო წესით მიწათ-მოქმედების სამინისტროს შუამდგომლობა ერობისათვის 20% სახელმწიფო მამულებიდან საიჯარო შემოსავლისა.

ერობათა კავშირის კომიტეტი ითხოვს, რათა პირველ ყოვლისა, რაც შეიძლება დაჩქარებით და დაუყონებლივ მიეცეს რესპუბლიკის ყველა ერობებს უპროცენტოთ, სესხის სახით, ასი მილიონი მანეთი, მიწის გადასახადის გარანტიის ქვეშ.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა, იმავე თათბირის დადგენილების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა სურსათას დამზადების საქმე დაუყონებლივ ერობებს გადაეცეს. ერობათა კავშირი თავის მხრივ ღებულობს ვალდებულებას, რომ ის იქნება პასუხისმგებელი იმ თანხის გადახდაში, რომელსაც ამ საჭიროებისათვის მომარაგების სამინისტრო გადასცემს ერობებს თუ ერობათა კავშირს.

ამისთვის ეროობათა კავშირის კომიტეტი ითხოვს, რათა სურსათის შესაძენათ ეროობათა კავშირს გადაეცეს ბომარაგების სამინისტროდან, ნაწილი მაინც მთავრობის მიერ ამ საქმისთვის გადადებულ ოცდა ითი მილიონისა და ამით საშუალება მიეცეს, ეროობათა კავშირს და ცალკე ეროობებს დაუყოვნებლივ შეუდგენ სურსათის შესყიდვის საქმეს.

— ეროობათა კავშირის კომიტეტის მოქმედება დღითიდღე იზრდება. დადგა ისეთი ხანა, როცა მისი ყურადღება კულტურულ მუშაობისკენ მიიქცა, რა გარემოებასაც ეროობათა კვაშირის კომიტეტი დიდის ენერგიით ეკიდება. ამის გამო ეროობათა კავშირის კომიტეტმა, ეროობათა წარმომადგენლების თათბირზე გამოტანილ დადგენილობის თანახმად, მიმართა მთავრობას, რათა ეროკავშირისთვის ჩამორთმეულ იქნას არაფელოვის სახლი, სადაც ამ ჟამად ეროკავშირის ბინაა მოქცეული.

— ეროობათა კავშირის კომიტეტი უკვე შეუდგა მ. სმირნოვის მიერ დამუშავებულ დებულებების განხილვას თემების შესახებ, რომელიც მალე დამთავრებულ იქნება და ცალკე გამოცემათ გამოვა.

შორაპნის მაზრის ეროობაში.

— შორაპნის მაზრის თემთა წარმომადგენლების ყრილობა.

მარტის შუა რიცხვებში მოხდა შორაპნის მაზრის ეროობათა წარმომადგენლების ყრილობა. აქვე მოგვყავს ზოგიერთი ადგილი თემთა წარმომადგენლების მოხსენებებიდან და ყრილობის დადგენელებანი.

მოხსენებებიდან საერთოდ ირკვევა შემდეგი: თემების მოქმედება მაზრაში ძალიან გვიან დაიწყო. პირველი დაბრკოლება, რაც თემის გამგეობას შეხვდა, ეს იყო უბინაობა და ფინანსიური მდგომარეობა.

რადიუსი თემებისა განისაზღვრება 8—10 ვერსით. მდებარეობა თემბისა მთაგორიანია, ამის გამო გზების მდგომარეობა ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული.

თემის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 1300—1500 კომლს. არის თემი სადაც 16 სოფელი შედის. საშუალოდ კი 8—10 სოფელი. თანდათან ვითარდება ტენდენცია გამოყოფისა.

პირველ რიგში, რისთვისაც თემებს ყურადგება მიუქცევიათ, ეს ყოფილა სკოლის საკითხი და ამ დარგში ცოტა რამის გაკეთებაც მოუსწრიათ, თუმცა არიან სოფლები, რომელნიც უსასწავლებლოთ არიან.

ფინანსიური მხარე თემებისა ვერ არის კარგათ დაყენებული, სცხოვრობენ სესხით და სურსათის წარმოებიდან შემოსული თანხებით.

გამგეობის ხელშია მილიცია, რომელიც ასრულებს მაზრის დავალებებს. ზოგიერთ თემში მილიციას, ქურდ-ბაცაცებთან საბრძოლველად ეხმარება სოფლად დაარსებული სათანადო კომისიები, რომელთა მოქმედება სასურველ შედეგებს აღწევს.

თემების წარმომადგენლები აღნიშნავენ აგრეთვე გამწვავებულ მდგომარეობას მცხოვრებთა და ღვდელ-მსახურთა შორის, რისთვისაც სასურველად მიაჩნიათ ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.

თემები ცდილობენ გზების შეკეთებას, რომელსაც აწარმოებენ შემდეგი წესით: თემის გამგეობის წევრი საგზაო კომისიასთან ერთად ირჩევს ზედამხედველს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს გზებს და მის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას უკეთებს თემის გამგეობას. ასისთავები და ოცისთავები უწევენ გამგეობას დახმარებას.

აღსანიშნავია რომ თემების გამგეობებს მცხოვრებნი მოსთხოვენ სამოქალაქო საჩივრების გარჩევას და როცა რომელიმე გამგეობა ამაზე უარს ამბობს, ხალხი ძლიერ უკმაყოფილოა.

ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

— თემსაც და სამაზრო ერობასაც ექნეს საბიუჯეტო უფლებანი.

— ადმინისტრაციის შესახებ ყრილობამ გადასწყვიტა, რომ მილიცია სავსებით ექვემდებარებოდეს სათემო და სამაზრო ერობებს. სანიტარია, ყრილობის დადგენილებით, რჩება სამაზრო ერობის ხელში ვინაიდან მას აქვს სამაზრო მნიშვნელობა. სკოლების შესახებ — ყრილობამ სასურველად დაინახა პირველ-დაწყებით სასწავლებლები იყვნენ თემის ხელში, ხოლო მაღალ-დაწყებითი კი სამაზრო ერობის ხელში. საჭიროთ იქნა აღიარებული თემის უფლებათა გაფართოება.

— ყრილობამ განიხილა რა სათემო ერობის უფლება-მოვალეობანი, სავსებით მიიღო ერობათა კავშირის მიერ შემუშავებული საერთო დებულებები, რომლებიც დადასტურებული იყო რესპუბლიკის თემთა წარმომადგენლების ყრილობაზე. კრებამ გამოსთქვა სურვილი საოპეკუნო და სამედიატორო საქმეები შედიოდეს თემის გამგეობის კომპეტენციაში, თემებს უნდა ქონდეს უფლება სხვა და სხვა ხელშეკრულებათა ხელწერილის დამოწმების, თვითმართველობის ორგანიზაცია აწყობილი უნდა იყოს ორ საფეხურზე — სამაზრო და სათემო თვითმარ-

თველობები. კრება წინააღმდეგია სარაიონო თემების. თემი უნდა გამოიჭრას — გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიური პირობების მიხედვით. თემის შემადგენლობის მინიმუმ-მაქსიმუმი კრებამ მიიღო 1000 — 3000 კომლი, მცხოვრებით. კრებას სასურველად მიაჩნია საბიუჯეტო უფლებანი მიეცეს ადგილობრივ თვითმართველობებს. თემები, როგორც ადგილობრივი თვითმართველობანი და სახელმწიფო მმართველობანი, ვალდებული არიან მიიღონ მონაწილეობა თემის ფარგლებში არსებულ დაწესებულებათა შენახვა-მოვლაში (საავათმყოფოები, სკოლები, სამკითხველოები, საჩვენებელი მინდვრებით და სხვა) მეორე მხრივ თემის თვითმმართველობას უნდა ქონდეს უფლება ერთგვარი ზედამხედველობა და კანტროლი გაუწიონ ამ დაწესებულებებს, თანახმად სამაზრო ეროვნების გამგეობის მიერ შემუშავებული ინსტრუქციისა.

— თემის მილიცია შეადგენს განუყოფელ ნაწილს სამაზრო მილიციისას და იმავე დროს ემორჩილება ადგილობრივ თვითმმართველობას.

— ეთხოვოს მთავრობას, რათა მან ყოველივე ზომები მიიღოს მაზრისათვის სურსათის მოწოდებაში. გარდა ამისა თემის გამგეობებმა იხმარონ ყოველივე ღონისძიებანი, რათა ადგილობრივ და სხვაგან შეიძინონ სურსათი თემისათვის; იმას, ვისაც ზედმეტი სიმინდი აქვს და დღეს არ ყიდის და ფასის აწევას ელის, რაც ნამდვილი სპეკულიაციაა, მის წინააღმდეგ არის მიღებული ზომები მთავრობის მიერ. ამიტომ მათ უნდა ჩამოერთვას სიმინდი ზედ მეტი და მიეცეს შესაფერი ფასი, რათა ამით არ მიეცეს სახსარი სპეკულიაციის გამრავლებას.

— თემებმა მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება. ძალ დაუტანებლად, იქმნეს მოგროვილი შეწირულებანი მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. შეწირულებას მიიღებს სამაზრო კომიტეტი.

— დღევანდელ რთულ პირობებში მასწავლებელთა გაფიცვას აქვს პოლიტიკური ხასიათი და, არა მარტო ეკონომიური და როგორც ასეთი დაუშვებელია, ამიტომ უნდა იქმნეს მიღებული ზომები მის ჩასაშლელად და მხარის და მხარის დაჭერა მასწავლებელთა ამ ნაწილისა, რომლებიც გა იცვის წინააღმდეგნი არიან.

— მიღებულ იქმნეს ყოველ-გვარი ზომები დეზერტირობასთან და ყაჩაღობასთან საბრძოლველად. აგრეთვე თემის გამგეობებმა მიაწოდონ

უტყუარი ცნობები გამომძიებელს ამა თუ იმ პირზე, რათა სიმართლე არ იქმნეს დამალული, რითაც მტყუანი მხარე არ იქნება გამართლებული და ეს კი ხალხში ჰკარგავს სიმპატიას თვითმმართველობისადმი.

—ეთხოვოს მთავრობას დაჩქარებულ იქნას იმ კანონ-პროექტის გატარება, რომელიც ერობათა ცენტრალურმა კავშირმა წარუდგინა მთავრობას, რაც გამოიხატება შემდეგში: შემოღებულ იქნას სამოქალაქო რეგისტრაცია აქტების დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების და მცხოვრებთა აღრიცხვის—წიგნებით. სამოქალაქო რეგისტრაცია უნდა იყოს ნაწარმოები ერობების ღა ქალაქის თვითმმართველობის მიერ. თვითეულ სამილიციო უბანში ქალაქისა და სათემო ერობებში უნდა იქმნეს დაწესებული სარეგისტრაციო მაგიდა. სასულიერო წოდება (სამღვდელოება) ყველა სარწმუნოებისა, ვალდებულია მოითხოვოს ცნობები ამა თუ მღვდელმოქმედების შესრულების დროს შესაფერი აქტის რეგისტრაციიდან.

—ვინაიდან ზოგიერთ ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ ადმინისტრატიულად ბრძოლა შეუძლებელია და მიზან შეუწონელი, ამიტომ საჭიროა მათ აღმოსაფხრავათ მიღებულ იქმნეს კულტურული ზომები პროპაგანდა აგიტაციების საშუალებით, თუ რაოდენათ, და რამდენად მავნებელი და ეკონომიურად გამანადგურებელია ასეთი ჩვეულებანი.

—ეთხოვოს მთავრობას დააჩქაროს სპეციალისტების გამოგზავნა მაზრაში ტელეფონების მოსაწყობათ, ხოლო იმ თემთ, რომელთაც ჯერ ამისათვის ბოძები არ აქვთ მომზადებული—დაჩქარონ მათი დამზადება, რომ შემდეგში ხელი არ შეუშალოს მუშაობის მსვლელობას.

—თემის გამგეობებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები გადასახადების რიგიანად აკრების ჩასატარებლად. არც ერთი კაპეიკი გამგეობის ხელში არ უნდა დარჩეს გადასახადებისა, არამედ დგინდებოდეს ადგილობრივ ხაზინებში. ყრილობა ღებულობს რა მხედველობაში სამაზრო ერობის ფინანსიურ მხარეს, რომელიც ვერ ფარავს იმ ხარჯებს, რაც საავათმყოფოების შენახვას უნდება მაზრაში—ღებულობს თავის-თავზე მათ დაკმაყოფილებას ბინისა და გათბობის მხრივ.

—აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს %/% ყველა სახელმწიფო გადასახადებიდგან თემებს, ვინაიდან დღევანდელ პირობებში რაიონული სამილიციო პოსტების ყველგან გაუქმება

შეუძლებელია, რადგან ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არ ჩამდგარა და საჭიროა შეიარაღებული ძალა, ამიტომ ადგენს: რაიონული მილიციის პოსტები დარჩეს: ხარაგოულში, საჩხერეში და ჩხარში, ხოლო ჭიათურაში კი მოიხსნას ვინაიდან იქ არის რაიონული სახალხო გვარდიის შტაბი.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ქალ. ქუთაისის ახლო მდებარე საფონდო ადგილები სახელდობრ: ალფონს თუმანიშვილისა აგარაკ საღორიაში ჭოგნარის საზ., პეტრე წულიკიძის და პარმენ თვალჭრელიძის კვახჭირის აგარაკში ჭოგნარის საზ., ადათი მიზანდაროვის და სიმონ ბაინდუროვის აგარაკ ბანჯაში ქვიტირ საზ., დავით ბესარიონისძე ხელთუფლიშვილის აგარაკ გუმათში ოფურჩხეთის საზოგადოებისა—საერთო ზომით ას სამოცდა თვრამეტი დესეტინა 4434 კვ. საჟ, (477 ქცევა) იყიდოს სამაზრო ერობამ.

— შემოღებულ იქნას ერობის აფთიაქებში რესპუბლიკაში არსებული საფთიაქო ნიხრი ოველივე დამატებით. შეღავათი წამლებზე სავსებით მოიხსნას.

— დაევალოს ადმინისტრატიულ განყოფილებას დაუყონებლივ ლიკვიდაცია უქნას ხონში არსებულ სატუსაღო სახლს.

დაევალოს სასკოლო განყოფილებას გააწეროს თემს მასწავლებლებისთვის ბინის ქირა და შეშის და ნავთის ფასად გადასახადი, რის გადახდაც ევალება თემს.

— მიღებულ იქნას ტობანიერის და გომის თემთა შორის საზღვრათ ბაღდათ-ოპირის შარა გზიდან სამხრეთით მდებარე სასოფლო ეგრეთ წოდებული „ომბახოს გზა“, რომელიც გადაჭრის „გეგეშიძეების ღელეს“ „ორბახოს მთამდე“; ამ შარა გზის ჩრდილოეთით გატარებულ იქნეს ამ თემებს შორის საზღვარი იმის მიხედვით, თუ რომელ თემის მკვიდრთა საკუთრებას შეადგენს ადგილების 50% მეტი, რის გამორკვევაც უნდა მიენდოს ამ ორ თემთა საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას უბნის საერობო ტეხნიკის თანდასწრებით.

— მიეწეროს ამ თემებს, რომ ამ საზღვრის მიხედვით გამორიცხონ — ჩაწერონ ამა თუ იმ თემში ის მკვიდრნი, რომელთა მდგომარეობა ამ საზღვრის დადებამდის გამოურკვეველი იყო.

— გაუქმდეს მთელს მაზრაში ჩაფრების თანამდებობა; საწირის თემს ადგილობრივ ცუდი პირობების გამო მიემატოს შტატს ზევით ორი მი-

ლიციელი; აღიძრას შუამდგომლობა გზათა სამინისტროს წინაშე, რათა ამ რაიონის იმ მოსწავლეებს რომლებიც ქ. ქუთაისში სწავლობენ და უხდებათ მატარებელით მგზავრობა, მიეცეთ უფლება უფასოთ მგზავრობისა და თუ ეს შეუძლებელი იქნება დაკლებულ ფასებში მიეყიდოს მათ რკინის გზის ბილეთები.

— დაწესებულ სამაზრო მილიციელების შტატს მიემატოს ორი მილიციელი, რომლებიც უნდა დაინიშნოს სვირის სადგურზე და დაევალოს მათ სხვა მოვალეობასთან ერთად ყოველ გვარ სახაზინო კორესპონდენციების გზავნა ყოფილ სვირის რაიონში შემავალ თემებში.

ოზურგეთის სამაზრო ერობაში.

გამგეობამ დაადგინა: 1) გადაიდოს 250 ათასი მანეთი, რათა მომარაგების სამინისტროდან შეძენილ იქნას სურსათი სახელმწიფო და ერობის მოსამსახურეთა დაწესებულებათათვის. 2) მიეცეს სესხათ პირველ საარტილერიო დივიზიონის ბატარეიას 30 ათასი მანეთი და ერთი ვაგონი თივა. 3) ნება დაერთოს ოზურგეთის თემის გამგეობას აიღოს სესხათ 200 ათასი მანეთი სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებისთვის. 4) ოზურგეთის თემის გამგეობას დაევალოს, რათა მიმართონ სათანადო დაწესებულებას, რომ მიღებულ იქნას ზომები ტყის გაჩეხის წინააღმდეგ, რასაც ხშირად აქვს ადგილი ოზურგეთის რაიონში.

— ერობის გამგეობამ ცირკულიარულად აცნობა ყველა თემებს, რომ მათ არა აქვთ უფლება სამაზრო ერობის უნებართვოთ დაიუფლონ საკუთრებათ ან საიჯარო წესით მათ ტერიტორიაზე არსებული სკოლების კუთვნილი მიწები.

— გასული თვის 20-ს მოხდა ოზურგეთის სამაზრო ერობის ყრილობა, რის შესახებაც ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

დუშეთის სამაზრო ერობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის მოხსენებე წარუდგინა მთავრობას.

,,დუშეთის მაზრა გასულ წელს ანარქიის გამო საგრძნობლათ დაზარალდა. ამის გამო მიწების დიდი ნაწილი დაუთესავი დარჩა და მცირე მოსავალმა მცხოვრებნი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო. ერობის გამგეობა ცდილობს საქმის მოწესრიგებას, მაგრამ უსახსროობის გამო ვერაფერს

ვერ აკეთებს. ამ ბოლო დროს მაზრაში კავკავიდან ლტოლვილების და მოხალისეთა ჯარის ნაწილების გამოვლამ უფრო გააუარესა.

დუშეთის მაზრას მეტი ყურადღება ესაჭიროება, რადგან, ზემოდ აღნიშნულის გარდა, მაზრა კულტურულად დაქვეითებულია და რესპუბლიკისათვის მავნებელ აგიტაციას მეტი გასავალი აქვს. თუ მთავრობა ერობას საშუალებას მისცემს მოაწესრიგოს მეურნეობა—იმ შემთხვევაში მაზრა მოღონიერდება და საქართველოს საწინააღმდეგო აგიტასიასაც გასავალი არ ექნება.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, მე საჭიროდ მიმაჩნია საჩქაროდ მიეცეს დუშეთის აამაზრო მრობას 2000000 მან. სესხად ერთი წლის ვადით ისე, როგორც მეცა ამდენივე ახალციხის სამაზრო ერობას''.

გორის სამაზრო ერობის მოქმედება გასულ წელს*).

ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა გამგეობის მუშაობის პირველ დღიდანვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსი შეიქნა. პირველ ხანებში გავრცელებული „ისპანკა“ შესცვალა შავმა სახადმა ანუ პარტახტიანმა ტიფმა. ისპანკასთან საბრძოლველად შექმნილი ექიმთა მფრინავი რაზმების საშუალებით ამ სენთან ბრძოლა შეუძლებელი და უნაყოფო იყო. ამიტომ გამგეობამ მაზრაში მოაწყო საავადმყოფოები, ხაექიმო და საფერშლო პუნკტები, სადაც წამლობა და ექიმობა უსასყიდლოა. ამ ჟამად არსებობს 9 სამკურნალო და 9 საფერშლო პუნკტები, ერობის სამსახურში არის 9 ექიმი, 20 ფერშალი და 3 ბებია ქალი. ამბულატორიაში დახმარება აღმოსჩენია 12.000 ავადმყოფს. მედიკამენტების შეძენაში დახარჯულია ასი ათას მანეთამდე. შეძენილია აგრეთვე რამდენიმე ათეული ათასი მანეთის სხვა და სხვა სამკურნალო იარაღები. ამის გარდა გამგეობამ შეიძინა ყვავილის, დიფტერიტის და სხვა გადამდებ სენის საწინააღმდეგო ასაცრელი შრატი. გამგეობას განზრახული აქვს გახსნას სამაზრო საავადმყოფო და აფთიაქი. თემებში მცირე საავადმყოფო და ორი აფთიაქი.

საბეითლო დარგში ერობის მუშაობა გამოიხატა ჯერ-ჯეროობით საქონლის ჭირთან ბრძოლაში. მოწვეულია 3 ბეითალ-ექიმი და 3 ბეითალ-ფერშალი, 1918 წ. შემოდგომაზედ და ზაფთარშიაც მაზრაში მძვინვარებდა საქონლის ჭირი, რამაც აუარებელი პირუტ-

*) გამგეობის თავმჯდომარის მ. ახალაძის მოხსენებიდან სამაზრო ყრილობაზე 6 მარტს.

ყვი იმსხვერპლა. მოსალოდნელი იყო რომ 1919 წ. გაზაფხულიდან საქონლის ჭირი მეტის სისასტიკით იჩენდა თავს, ამიტომ გამგეობამ მიიღო ყოველივე ზომები სენის შესასუსტებლად: შეიძინა ქუთაისის სადგურიდან შრატი და აწარმოებდა აცრას. მიღებული ზომების წყალობით გასული წლის გაზაფხულზედ და ზაფხულშიაც საქონლის ჭირი მაზრაში ალაგ-ალაგ, თითო-ოროლა შემთხვევა იყო, რაც ბედნიერ გამონაკლის შეადგენს სხვა წლებთან შედარებით. გაიხსნა და ნოეწყო პირუტყვთა საავადმყოფოები გორში, სურამში და ცხინვალში, სადაც უწამლეს 3.000 პირუტყვს ექიმობა-წამლობა უსასყიდლოა, ამ საქმისთვის გამგეობამ შეიძინა 20.000 მან. მედიკამენტები და საკმაო რიცხვი იარაღებისა.

ეროობამ მაზრისათვის სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად სასურსათო განყოფილება მოაწყო. ამ განყოფილების მიერ სულ მთელი მოწოდებული საქონლის ანგარიში 1 იანვრამდე გამოიხატა 5.189.000 მანეთამდე; ამ ჯამით ნაყიდ საქონლიდან 1 იანვრისთვის იყო დარჩენილი საწყობებში 1.045.685 მ. 90 კაპ., მაგრამ იანვარში 2 მილიონი მანეთის საქონელი გადატრიალდა. ასე რომ მთელი წლის განმავლობაში 5—6 მილიონი საქონელი შეუძენია და მიუწოდებია მაზრისათვის, ამ საქონელში დაახლოვებით ნახევარი მოხელეებს მომარდათ, ნახევარი მაზრის მცხოვრებლებს კოოპერატივების და თემების საშუალებით; ეს არის მაზრაში შემოტანილი საქონელი. ამის გარდა ეროობა აწარმოებდა ხორბლეულობის შესყიდვას მთავრობის დავალებით და 5—6 მილიონის საქონელია გატანილი სახელობრ—პური, კომბოსტო, ჭარხალი და სხვა; ამაში არ შედის ის 26000 ფუთი ჭირნახული, რომელიც მთავრობას გადაეცა ღალების სახით, მისი ღირებულობაც დაახლოვებით 8—9 მილიონ მან. შეადგენს.

თვით განყოფილება ძალიან გართულდა და რამოდენიმე დიდ დარგათ დაიყო: 1) გარედგან საქონლის მოწოდება, 2) შიგნით მაზრაში სხვა და სხვა საქონლის შეძენა, 3) საზღვარ გარეთ საქონლის გატანა, 4) პურის ყიდვის ოპერაციები, 5) თივის საქმე, 6) ღალების საქმე და სხვა საქმის გაფართოვებამ და გართულებამ შეუძლებელი გახადა წვრილი ვაჭრობის წარმოება. ამიტომ მოხელე-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად გამგეობამ გახსნა დუქანი, საიდანაც აწვდის მოხელეებს სურსათ-სანოვაგეს და სხვა. ერთი სიტყვით სასურსათო საქმის ფართო მასშტაბით წარმოება შეიქმნა გამგეობის ერთ ერთ საქმეთ.

გამგეობის მუშაობა ამ დარგში ფრიად ნაყოფიერი იყო შედეგებით და მცხოვრებლების მხრით ეს მოვლენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რასაც ხშირად კმაყოფილებით აღნიშნავენ ხოლმე.

გამგეობამ სათანადო ყურადღება მიაქცია სტატისტიკის სათანადოდ მოწყობას. როგორც სხვა საქმეში, ისე ამ დარგშიც მომზადებული და გამოცდილი თანამშრომელის შოვნა გაძნელდა.

სამაზრო ერობას აქვს გასაკეთებელი რამოდენიმე დიდი საქმე, რომლის შესრულება წლიური ხარჯთ-აღრიცხვის საშუალებით შეუძლებელია. ამასთან ეს საქმეები დაჩქარებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში, ვინაიდან ამაზედ ბევრადაა დამოკიდებული მაზრის ბედ-იღბალი, თვით ერობის პრესტიჟის საკითხიც ხალხის თვალში. ეს საკითხებია: 1) მაზრაში საჭირო სარწყავი არხების გაყვანა მტკვარიდან და დიდი-ლიახვიდან, 2) სახალხო განათლების მტკიცე ნიადაგზედ დაყენება, 3) ერობის წარმოების გაფართოვება და 4) სამაზრო ერობის სასურსათო განყოფილების ფინანსიურად გაძლიერება. ამ დიდი საქმეების მოწესრიგება ეხლანდელი საერობო შემოსავლებით შეუძლებელია, საჭიროა რაიმე არა ჩვეულებრივი ზომების მიღება, სხვა საღსარის გამონახვა. ასეთ საშუალებად გამგეობას მიაჩნია ათ მილიონიანი საობლიგაციო სესხი. ხმოსანთა მეოთხე ყრილობამ ეს სესხი პრინციპიალურად მიიღო და გამგეობამაც სათანადო შუამდგომლობა უკვე აღძრა მთავრობაში.

ხმოსანთა მეორე ყრილობამ დაადგინა გორის მაზრა გაყოფილიყო 20 წვრილ საერობო ერთეულად. მოეწყო მხოლოდ 17 თემი; ჯერ-კიდევ ვერ მოეწყო თემები მთა ოსეთში, ვინაიდან ოსეთმა დღემდის არ მოისურვა ერობის შემოღება. უკანასკნელ ხანებში გამგეობას ხშირად მომართვენ სხვა და სხვა ალაგებიდან თხოვნით, რათა ოსეთშიაც მოეწყოს თემები. ზოგიერთი თემების მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მომუშავე ძალების სიმცირის გამო. არიან თემები, სადაც წერა-კითხვის მცოდნე პირები ძნელი საპოვნელი არიან. სამაგიეროდ ზოგიერთი თემები დიდათ დამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებენ— თემების საქმიანობას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ არ იყო შემუშავებული დებულება, არ იყო აგრეთვე გარკვეული საბიუჯეტო უფლება, რის გამოც თემები უფლების გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან და ხშირად ვერ ანხორციელებდნენ დასახულ მიზნებს. გამგეობა უწევდა თემებს იდეურ ხელმძღვანელობას და აგრეთვე ეხმარებოდა ნივთიერადაც. პირველ ხანებში საქმეებიხ მოსაწყობად გამგეობამ მისცა თემებს 200.000 მ. მიუხედავათ ამისა მიცემულია თემებზედ ნისიად

სხვა და სხვა საქონელი დაახლოვებით 3.000.000 მანეთისა. გამგეობამ მოიწვია სპეციალური პირი, რომელიც უწევს თემებს ინსტრუქტორობას, უხსნის და აძლევს დარიგებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმის წარმოება, ბუხჰალტერია, რაში უნდა გამოიხატოს თემების მუშაობა, როგორი უნდა იყვეს დამოკიდებულება თემსა და მილიციის შორის, თემსა და სამაზრო ერობის გამგეობის შორის და სხვა.

ერობის მუშაობას მაზრაში მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. ხალხის დიდი უმრავლესობა ნდობით ეპყრობა ერობას და ასრულებს გამგეობის განკარგულებას, მართალია ნაკლიც იყო ჩვენს მუშაობაში, მაგ. ვერ იყო მოწყობილი მზრუნველობა უმწეოთა, ქვრივობოლთა, ღარიბთა და სნეულთა. მაგრამ ეს უნდა გამოსწორდეს ახლო მომავალში. ისიც უნდა ითქვას, რომ საამისო თანხა ხმოსანთა სამაზრო სამაზრო ყრილობისაც არ ჰქონებია გათვალისწინებული და ვერც გამგეობამ გამონახა საამისო სახსარი, რომ თვალ-საჩინო რაიმე გაეკეთებინა. მაგრამ ერთის მხრით ერობის საქმიანობა, მისი მუშაობის დადებითი შედეგები, ერობის იდეიის შეთვისება და მეორეს მხრით, ხალხის გამოფხიზლება, რის უტყუარი საბუთებიც მრავლად მოგვეპოვება, თავდები არის იმისი, რომ ერობა ხალხის შეგნებაში იპერს იმ ალაგს, რომელიც მას ჭეშმარიტად ეკუთვნის.

გორის უბედურებამ გამგეობა უბინაოდ დასტოვა—დროებით გამგეობა კარავებში მოთავსდა, მიუხედავად მრავალი უხერხულობისა, გამგეობამ მხნედ მოჰკიდა ხელი დაზარალებულთა დახმარების საქმეს.

გამგეობის მთელი მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში მიმართულია დაზარალებულთა საშველად: აწვდიან სოფელს სურსათ-სანოვაგეს, ტანთ-საცმელს, ხე-ტყეს და სხვა, როგორც გამგეობის წევრების, აგრეთვე ერობის ტეხნიკური ძალები იკვლევენ თვითეული სოფლის ზარალს.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალ

წელიწადი პირველი

„ეროგა“-ზე

წელიწადი პირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაკტიკულ საკითხების ყოველ მხრივ გარკვევა-გაშუქებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ:

ავალიანი ს., ახალაძე მ., ახობაძე-ტკაჩევი ს., ბენაშვილი გრ., ბურჯანაძე ვ., გოშართელი ივ., გოშელაური ივ., გონჩაროვი ა., გედევანიშვილი (აგრონომი), დადვაძე ბ., დევდარიანი ს., ელიავა ინოვიჩი ვ., კარბელაშვილი ნ. (აგრონ.), კიკალეიშვილი ბ., კონი ს., ლორთქიფანიძე გრ. ლომაური ი., მანდელშტამი მ., მარგველაშვილი ტ., მამამთავრიშვილი გ. ნაკაშიძე (აგრონომი), ონიაშვილი დ., რუსია მ., ქავთარაძე კ., ქავთარაძე ბ., ქარცივაძე მ., ლლონტი ვ., ლლონტი ი., საევარელიძე ბ., სოგორაშვილი გრ., სულაქველიძე კ., სულიაშვილი დ., სტურუა ი., სმირნოვი მ., ტიმოფეევი ს., შენგელია ლ., ჭანტურიშვილი ს., ჭიჭინაძე ბ., ცეკვაშვილი მ., შარაშიძე ნ., ჯაჯანაშვილი ა. და სხვანი.

რედაქცია იმყოფება: რუსთველის პრ. № 24
ეროებათა კავშირის კომიტეტის ბინა.

ე 81/2
1920